



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოცის ცუთაბათობით

ფასი 1 ლარი

ხელის მოწერა: ტფილის, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიომების სახლების ზემოდ. № 5
ქუთაისში, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის“ ფასი 1877 წელს.

ათი თვისა, გაგზავნით და გაუგზავნელად... 6 მან. —
თითო ნომერი — 15 კაბ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს
დასაბუღადათ გამოგზავნილ წერილებს.
განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.

სამიერებელი: I. სლავიანების მოძრაობა სერბიის დამარცხებიდამ დღეისამდე. — II. საქართველოს მატენა — III. ორი ლექსი თ. ალექსანდრე ჭავჭავაძისა. — IV. ცხოვრება და ქანონი, წერილი მესამე, — V. მოკლე მოთხრობა სხვა და სხვა სახელმწიფოთათვის: ავტორი-ვენგრია, გერმანია. — VI. ქალაქის სცენები ერთის დღის აღწერისა: სცენა 3. — VII. განცხადება.

სლავიანების მოძრაობა სერბიის დამარცხებიდან დღესასამდე *).

სლავიანების აწინდელის მოძრაობის შინაგანს თვისების რომ დავაკირდეთ, ცხადათ დავინახავთ, რომ მისგან წარმომდგარის საქმის აღსრულებაზე ადგილი არა არის რა. სლავიანთა გულის წადილი ის იქ რომ გამოსულიერნენ თხმალეთის მფლობელობიდგან, აუცილებინათ თავიდგან ის მმართებლობა, რომლის უმსგავსობა და უწევირობა ეველასათვის წარდია. მთელმა ევროპამ ნათლად დაინახა რომ თხმალეთის ქვეყნებიდან მართებული ხალხი საშინელს მწუხარებაშიადაამმწუხარების შემსუბუქება თვითონ თხმალეთისაგან მოულოდნელია. მაშასადამე ევროპის სახელმწიფოებისათვის, რომელთაც სლავიანის ხალხმა მიმართა თავისი კერძება, ერველთვის შესაძლებელი იქ ზემოსხენებული წადილი სლავიანებისა აქსრულებინათ. რას უზამდა თხმალეთი მთელს ევროპას? მის ერთ ხმიანს სურვილს და ძალდატანებას სად წაუვიდოდა? მაგრამ უბედურება ის არის, რომ სახეობადო კაცობრიულ გრძნობას, რომელიც ევროპას მოვალეობა ხდიდა ამ საქმეში ჭემარიტი მონაწილეობა მიეღო, მოჰევა

კიდევ სხვა გარემოებაც, ამ ქამად უფრო მლიერი ვიდრე გაცობრიობის უანგარო სიევარული. ვიმეორებს: რატომ არა ჭმნა ევროპამ ის, რაც მისთვის ადგილად შესაძლებელი იყო, რასაც კისრად ჭხდებდა მას მისი განათლება, მისი ჭევითი და ზნეობითი სიმაღლე?

სხვა და სხვა სახელმწიფოთა საპოლიტიკო ისტორიაში ერთი გარემოებაა დიდად შესანიშნავი, — ეს არის საპოლიტიკო სიფრთხილე, რომ ერთმა მეორეს მლიერებაში არ გადაამეტოს როგორც რომლისამე სახელმწიფოს სივრცე მატულობს, იმ წამსევ მისი მეზობელი ეურის აქცევტის და თვალის იქნებს მე არ გადაამეტეოს, შემდეგ თავისი შეუნაგობა ჩემებნ არ მიმართოს. ამ თვალით უერებს დილომატია ეფექტური მოვლენას; ამ თვალითვე შეხედა მან სლავიანების მოძრაობასა.

რა ფიქრები აუშალა აქტრიას ამ მოძრაობაში, წარსულ წერილში იქ მოხსენებული. გარდა იმისა, რომ ჩემი სლავიანები თხმალეთის სლავიანების მიბაძვით წინა არ აღმიდგნენო, ავსტრიას ეშინოდა, აგრეთვე, რუსეთმა და სერბიამ ამ მოძრაობით არა ირგოს რამეთ, და მათ სივრცემ და ძალამ არ იმატოს.

ინგლისესაც ელდა ეცა. მხოლოდ ამას საპოლიტიკო სიფრთხილის გარდა სხვა მიზეზიც მოჰევა. ინგლისის ეკონომიკური ძალა დამუარებულია სარეწავს მრომაზედ. დიდ-ძალი მუშა-ხალხია მის ქარხნებში და დიდ-ძალი მასალა უნდა შემოზიდოს სხვა ქვეყნებიდგან, რომ ამდენი ხალხი ამჟამოს, რადგანაც ქარხნის მუშას, თავისი მკლავების მეტი, არა კითარი სხვა სამუალება არა აქვს მოისოდოს საწარმოებელი სახდოება. ეს შეუმუშავებელი ძალა ინგლისს გამოაქვს, სხვათაშორის, თხმალეთიდგანაც. თხმალეთის სახელმწიფო არა კითარ ღონისძიებას არა ხმარობს სარეწავობას,

ფეხი აადგმევინოს თავის ქვექანაში და თავისი უკანი მასალა შინუე შეიმუშავოს. ამით სარგებლობს ინგლისი და გააქვს ოქმალეთიდგან რის გატანაც კი შეუძლიან. მეორის მხრით, ინგლისმა იცის, რომ თუ ოქმალეთის ნაცვლად სხვა სახელმწიფო დაარსდა ბალკანის ნახევარ-კუნძულებს, უქმედია ხელიდგან გაეცლება იმ ნახევარ-კუნძულის მდიდარი ბუნების ნივთიერება, რადგანაც სხვა სახელმწიფო თვითონებებისა რაგებლებს და თვითვე შეიმუშავებს ურველი თვის მონაცარსა. რადა უნდა ქმნას მაშინ ინგლისმა? რითი უნდა გააძლოს თავისი აურებელი მუშა ხალხი? თუ არ გააძლობს და სამუშაოს არ მისცემს, ვინ იცის რა ვარგა გლახი და არეულობა შეუდგება თვით ინგლისის სახელმწიფოს? იქნება, რასაც ეჭლა სახელმწიფო თავის ნებით არ ამლექს ხალხს. მაშინ მალდატანებით წარმოადგინება მას? თუ ხალხს ცხოვრების იღავი უწევდება ვინ იცის თვით სახელმწიფოს რა დაქმართება? არ რა ფიქრები აემაღა ინგლისს, როდესაც გავარდა ხმა სლავიანების აჯანებისა.

გერმანია რადასა ფიქრობდა? ამისი კი არა ვინ არ იცოდა რა. თითქმის მთელი ევროპა ზირში შესწეროდა გერმანიას მაგრამ კერა შეიტეო რა იმის მეტი, რომ გერმანიას მშვიდობიანობის დაცვა უნდაო. ამ სიტევას, რასაკვირველია, არავითარი მნიშვნელობა არა პჰონდა რა, და არც ახალი ამბავი იყო. მხოლოდ ეველამ კი იცოდა, რომ გერმანიას, ღენერალის მოლტექს სიტევით, შეძლება აქვს და მზათვა არის ერთსა და იმავე დროს ორი დიდი ომი გადინხადოს. ეს უშველებელი სამხედრომაღა, მართლა რომ საშიშია ეველის თვის. თუ ავსტრიის საქმე ცუდათ წარიდა, იქნება გერმანიამ წარმოადგინება მისი ის ნაწილი, საცა ნემცის ტომია? ეს ყოველი მოხასველელია, რომ გერმანიამ ჯერ ხელი მოუშართოს ავსტრიას და, როდესაც იგი გაანემნენებს თავის სლავიანებს, მაშინ მოგვერდი უგდოს.

რაც შექება საფრანგეთს, იგი ისეთ ნაირად გართული იყო თავის შინაურ საქმებში, რომ არავითარი შესანიშნავი მონაწილეობა არ მიუღია გარებან სამოლიტიკო ცხოვრებაში.

ერთის სიტევით, თუმცა თვითვეულს ევროპის სახელმწიფოებს სხვა და სხვა ტკივილი აემაღა, მაგრამ მათ შორის ერთი იმისთვის ტკივილი იყო, რომელიც საერთოდ ეველას ექვთვნოდა: ვინიცობაა თსმალეთის სახელმწიფო დაიმალოსო, ვინ რა უნდა ირგუნოსო, როგორ დაგივითო? რადგანაც მსაგანზე ერთმანეთის დაულიება და დათანხმება თითქმის შეუძლებელია ამის გამო უველა სახელმწიფო მარტო იმას ფიქრობდა ავები როგორმე ჩქარა მოვუდოთ ბოლო მოუსვენარს სლავიანების არეულობასათ რომ თსმალეთი ისევ ისე ხელუხლებლად დარჩეს ვიდრე

დროთა გითარებანი გამოიცვლებანო.

როდესაც რესერის თაოსნობით სერბისა და ოსმალეთის შორის დროებით შერიგება ჩამოვარდა, ინგლისმა სხვა სახელმწიფოებს უძღვნა წინადადება, რომლის ძალითაც შეიქარა სტამბოლში კონფერენცია, ე. ი. უკედა უბირატესთა სახელმწიფოთა წარმომადგენელთა კრება. ამ კრებას უნდა მოქმედინა ის ღონისძიება, რომლითაც შესაძლებელი უფილიერ სლავიანების არეულობის მოსახლეობა და ორივე მებრძოლთა მხარეთა დაქმაულფილება.

რა უფლებით გაერია ევროპა თსმალეთის შინაურს საქმეში? საქმე ის არის რომ ზარიქის შეგრულობის (ტრაქტატის) ძალით ევროპის უბირატესი სახელმწიფონი თავდებათ დაუდგნენ ერთის მხრით ოსმალეთს, რომ მისი სახელმწიფო, მისი სამფლობელო დაურღვეველი უნდა დარჩესო; მეორის მხრით სლავიანებს, რომ ოსმალეთმა უნდა მოახდინოს ცვლილებანი მათის მმიერდეობის შემსუბუქებისათვის. რადგანაც ოსმალეთმა აღსრულებაში არ მოიცვანა თავისი ვალდებულება, ევროპას სრული უფლება ჰქონდა, ამ შეგრულობის ძალით, გარეულიერ თსმალეთის საქმეში და სლავიანთათვის შეამდგომელობა ეკისრა.

30 ნოემბერს 1876 წ. დაიწეო კონფერენციამ თავისი წინ-სამხადისი მუსაიფი.

თსმალეთმა კარგად იცოდა, რომ ამ კონფერენციიდგან არა გამოვიდოდა რა. ადგილად საფიქრებელია აგრეთვე, რომ თვითონ დიპლომატია ამაზედ გულდაჯერებული უფილიერ. მართლა და რა უნდა გამოსულიერ? კონფერენცია შეიქარა იმ განხრახვით, რომ ასმალეთი დაეკოლიებინა სლავიანების კეთილმდგრადობის დაგენისათვის, ესე იგი, შეიკრიბა მისთვის, რომ გამოუკვლიერ ის ცვლილებანი, რომელიც აუცილებლად უნდა მოახდინა ასმალეთს სლავიანთა სასარგებლობი. ის კი აღარ მოიფიქრა დიპლომატიამ თუ როგორ და მოიცეს, ვინიცობაა თსმალეთმა უარი ჰქონს უფლები მისი წინადადება. ასმალეთმა კარგად იცოდა თავის ძღვომარება, კარგად გრძნობდა, რომ ევროპის სახელმწიფონი მხოლოდ იმ ღრომინ არის თანახმანი, ვიდრე სიტევა საქმეზე არ მიმდგარა. ამიტომაც კონფერენციის სლავიანების შესახებ თსმალეთი უარს ჰქონდა; ამიტომაც კონფერენცია თან და თან ჰქონდობდა, ჰქონით-ჰქონით იწევდა და ბოლოს იქამდინაც მივიდა, რომ ანდრაშის ცვლილებანიც ვეღარ დაკისრა თსმალეთსა. თსმალეთი იძახდა, რომ ზარიქის შეგრულობის ძალით ჩემი უფლება, ჩემი მფლობელობა დაურღვეველიაო; ჩემ სახელმწიფო

რაც მსურს, იმას ვიქმო. ეფრონა, თავის მხრით ჩასუნს უგებდა, რომ ჩარიჯის შეკრულობის მაღით ოსმალეთი გალდებულია სლავიანებისათვის ცვლილება რამ მოახდინოსო. მაგრამ თავდებობა და ხელშეკრულობა კი უნდა დაედო ეგროჩის დასაჯერებლად, რომ მართლა მაგ ცვლილებას მოახდენდა და მით სლავიანების ბეჭედს როგორმე შედაგათს მიჰყემდა. ეთველი ამგვარი ხელშეკრულობა ბოლოს იმას მოსწავებდა, რომ ხოსტინის უფლება უნდა დარღვეულიერ, და მაშინ რა ემცენებოდა ეგროჩას? ეკელა ამ მიზეზთა გამო კონფერენცია გულმოდგინედ კერძოებოდა საქმეს. მართლადაც კონფერენცია ისე იქცევდა თითქოს მარტო იმისთვის შეიქარაო, რომ მასლაათი გაეწიათ, განვებ არა გაერიგებინათ რა; რომ ამასობაში იღავ გაწევეტილთა სლავიანთა მოსწენოდათ მათგანვე დაწებული საქმე და აგებ მალაუნებურად სასოწარებილების გამო თავიც დაენებებინათ. წინად ვქსთქვით. საბუთიანი და მაგარი ხელშეკრულობა ოსმალეთის სახელმწიფოს დაარღვევდა. ამ საგანზედ რომ კონფერენციის წინადადება გავსინჯოთ, ეგ აზრი სწორედ მართალი გამოვა. კონფერენციას სურდა მიეჩინა ოსმალეთისათვის კომისია და მისთვის მიენიჭებინა უმთავრესი ზედამხედველობა, რომ ოსმალეთს თავისივე დაპირებული საჭირო ცვლილებანი სწორედ და უტევარად მოქმდინა. სახევარი წელი ამ კომისიასა თხმალონ უნდა ერთიანებები და ნახევარი ეგრობისენი. რა იქ ეს კომისია, თუ არ ერთს მთავრობაზედ წამომდგარი მეორე მთავრობა ერთსა და იგივე სახელმწიფოში?

ვიდრე დიპლომატია მასლაათში დროს ატარებდა, ოსმალეთმა წინ ასწრო და გამოუწესდა თავის ხალხს კონსტიტუცია. „მორძნახებულებართ, ბატონებო, — ებნებოდა ოსმალეთი ეკრობას, და მომდგომისართ — გინდა თუ თუ არა ანდრაშის წინადადება მიიღეო. საცა კონსტიტუცია რადა ანდრაშის ბროქტი უნდა, მით უფრო რომ იგი გრომათ არა დირსო“. ამ რიგად ოსმალეთმა დიდის მოწიწებით ზურგი შეაქცია კონფერენციას და შინისაკენ მშვიდობით გაისტუმრა.

სლავიანების განთავისუფლებადათ იქითხავს მკითხველი. ეს საქმე დიპლომატიამ ჯერჯერობით დროთა ბრუნვას მიანდო.

დაბალეული, დაქანცელი, დონე მიხდილი სერბია დამარცხებული და ეკელასაგან თავდანებული, იძულებულ იქმნა ოსმალეთს შერიცებოდა. შეურიგდა კი, მაგრამ ვინ იცის რამდენა ხანს გასწევს ეგ შერიგება. გამარჯვებული ჩერნოვორია კი მაგრად დგას და არა რიგდება ჯერ ასმალებისა.

თვითვეულთა სახელმწიფოთა ანგარების მახეში გამჭული სლავიანების მომრაობა თავს გაიტანს თუ არა მომავალი გვიჩვენებს.

საქართველოს მატიანე

„დროების“ 28 და 29 ნოემბერი დაბეჭდილია ფრიად შესანიშნავი ამბავი შესახებ გახის სასწავლებლისა. ამ ამბავს იწერება თვით სასწავლებლის ოსტატი, უფ. როსტომაშვილი, რომელმაც, რასაკვირველია, გარგად უნა იცოდეს თავისის სასწავლებლის გარემოება და ამის გამო უოველი, რასაც იგი იწერება ამ საგანზედ, სარწმუნო და დასაჯერი უნდა იქოს. ეს ამბავი ცხადად გვიმტკიცებს იმ მსჯელობის სრულს სიმართლესა, რაიც გამოთქმული იქ „ტფილისის მოამბეში“ შესახებ იმ სასწავლებლებისა, რომელნიც ქაუთვნიან კავკასიის ქრისტიანობის აღმაღვინებელს საზოგადოებასა. უფ. როსტომაშვილი გვაუწებს, რომ იმ სამულებით, იმ დონისმიებით, რაც გახის სასწავლებელსა ჰქონდა და აქვსო, იმ ფულით რასაც დღეს მასზე ხარჯავს ზემოხსენებული საზოგადოებაო, სასწავლებელს იმისა შეათევდი სარგებლობაც არ მოუტანია, რისაც მოლოდინი უნდა გვზონოდათ. კახის სასწავლებელი არსებობს რვა წელიწადი. ოთხ წელიწადში სამოციდამ თოხმოცამდე მოწაფის გაწვრთნის შეძლება ჰქონდა თურმე, მაგრამ ამ რვა წელიწადში მხოლოდ ხუთმეტიოდ მოწაფეს შეუსრულებია სწავლა, რომელთა შორისაც ნასამედმა თითქმის არ იციან ის, რაც სასწავლებელს შეეძლო მათვის მიენიჭებინაო.

რა მიზეზია ამ უნაუთფოდ მოქმედებისა? რისგან უნდა მომხდარიერ, რომ უკეთესმა, ერველის დონისმიებით სრულმა, ერთობ ჩინებულად მომართულმა სასწავლებელმა, რომელსაც მშვინიერი ქვით-კირის სახლი აქვს, ფართო ეზო, რიგიანი ბაღის აგილი, რომელზედაც ქველის-მოქმედი საზოგადოება ერველწლივ თოხმოცამდე ათს თუმნამდე ხარჯავდა, რომელსაც კარგად მომხადებული ოსტატები არ აკლდა, — რისგან უნდა მომხდარიერ, ვამბოო ჩვენ, რომ ამისთანა სასწავლებელმა ესეთი უხეირო და უნუგეშო ნაუთფი გამოიღო? რისგან უნდა მომხდარიერ, რომ ამისთანა სასწავლებელმა რვა წელიწადში მხოლოდ ხუთმეტს შეძლებინა სწავლის შეთავება ისიც ისე, რომ მათგან შესამედსაც მაგდონი ვერაფერი უსწავლია? ამისი მიზეზი ერთად ერთი რამ არის, სახელდობრ, დედა-ენის შეამდგომლობის უარ-ეოფა ბირველ დაწებითის სწავლის მსვლელობაში. ბუნებამ სასტიკი და ზირ-უთვნელი დასჯა იცის, როცა მის კანონსა და წესს დალატობენ. დედა-ენის განდევნა

სახწავლებლებიდამ ბუნების წინააღმდეგია და რაც უნდა კაცმა იხერხოს, ბუნება ამ წინააღმდეგობას არავის დაუთმობს. ოგორც შეუძლებელია წელის ასევე აღმართზედ, ისეც შეუძლებელია მსვლელობა სწავლისა სახალხო სახწავლებელში უდედა-ენოთ. უამისოდ ერველივე მუცადინებობა უქმია და ერველივე ხარჯი წეადში გადაერთია. დღესა თუ ხეალ უჯერობიც ამ ახტებედ დადგებიან, იმიტომ, რომ კახის სახწავლებლის მაგალითი ბრმასაც აუხილებს თვალსა. მაგრამ ვაი რომ იქამდინ დრო და ხარჯი უქმად ჩაივლის.

ტფილისშიახალით თეატრის აშენება გადაწევეტილი საქმეა და ამ ორ-სამ წელიწადს სრულად გათავსებულიც იქნება. რას უზმეს ეხლანდელს საზაფხულო თეატრსა, ზამთრობით მაინც, თუ არ ზაფხულობით? ზამთარში ხომ იგი სრულად უქმად იქნება. ვითომ რა დაუშლის, რომ იქ ქართული და სომხური თეატრი სამუდამოდ გაიმართოს! ნე თუ ჩვენმი არავინ არ გამოჩედება, რომ მთავრობის წინაშე ამის გამო. ჯეროვანი მუამდგომლობა იყისროს? საზოგადოების ზენობის და გონების ამაღლებისთვის, განვითარებისთვის. თეატრს დიდი მნიშვნელობა აქვს. მწიგნობრობა ცხოვრებას უურით გვაუურებინებს, — თუ ქსე ითქმის, — თეატრი კი თვალითა, იმიტომ-რომ ცხოვრების ავ-კარგიანობას თვალ წინ გაგვიტარებს ხოლმე. თუნდ ეგეც არ იქოს დიდი რამ არის ჩვენისთანა ხალხისათვის, რომ მისს დგიმლს-ენას, მას დედა-ენას ერთი საჯარო ადგილი ჰქონდეს ვარჯიშობისათვის და ცხოველად მოქმედებისათვის. თეატრი ერთ მხრითაც გვიძებელის და მეორე მხრითაც. კარგი იქმნება, რომ ეს ეხლანდელი „საზაფხულო თეატრი“ მთავრობას გამოვშეთხოვთ ქართულისა და სომხურის წარმოდგენათვის.

ჩვენ შევიტევთ, რომ ეხლანდელი ტფილისის მაზრა თრად იქოფათ: ეაზახ-ბორჩალოსაგან თურმე ერთი ცალებე მაზრა უნდა გაიმართოს, თავისის ცალებე მაზრის უფროსი ჰქვანდესო და თავისი ცალებე მაზრის გამგეობა დაუწესდესო. ჯერ ხანად ებ გაეოფა დროებით იქნებათ. დიდი-ხანია საჭირო იურ ამგვარი განკარგულება, იმიტომ-რომ ტფილისის მაზრა მეტად დიდია და ამისგამო მოვლა მისი ერთს უფროსს მაზრისას უმნელება. ტფილისის

უეზდი მთელის გუბერნიის მეოთხედზედ მეტია (26 1/2%), ცხრა ათას სამას ოცდა ორი (9,322) ოთხ-კუთხე გერსტის ანუ 192 1/2 ოთხ-კუთხე მილის სივრცე უჭირავს; სამჯერ მეტია დუშეთის მაზრაზედ, (78 ოთხ-კუთხე მილია), ორჯერ მეტია სიღნაღის მაზრაზე (98 ოთხ-კუთხე მილია), ორჯერ მეტია ახალციხისა და ახალციხისა და ახალ-ქალაქის მაზრებზედ ერთად (99 ოთხ-კუთხე მილია), კარგა მეტია გორის მაზრაზედ (123 ოთხ-კუთხე მილია), აგრეთვე მეტია თელავისა და თიანეთის მაზრებზედ ერთად (145 ოთხ-კუთხე მილია), მცოვრებთა რიცხვი ტფილისის მაზრისა ოც-და-თი ასეველია (30%) მთელის გუბერნიისა, ესე იგი, თითქმის ერთი მესამედია. თუმცა ისე მციდროდ არ არის დასახლებული (შვიდს ოთხ-კუთხიანს ვერსტეზედ მოდის რვაას თვრამეტი (818) სული, ოგორც სხვა მაზრები, მაგრამ მით უფრო მნელი მოსავლელია, რადგანაც მცხოვრებნი დიდს სივრცეზედ არიან გაფანტულნი.

განეთს „ეპეპაზში“ დაბეჭდილია მთავრობისაგან დამტკიცებული ფასი სახასო მარილისა გავგასის ამიერ მხრისათვის: მარილის ქვა ფუთი სამი შაურია, ფხვნილი მარილი ფუთი რვა კანებია.

შეტერბულის ბირჟის გოფ-მაკლერის სქემიდამა ჰსხანს, რომ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირაფნობის ფურცელი 1-ს თებერვლიდან გამოხენილან ბირჟაზედ გასასუიდლად.

ერთი რუსის გაზეთი (**Финансовое обозрение**) გვაუწებს, რომ ბაქოს გარეშემოში ორი შაქრის ქარხანა შენდებაო, ერთი ბაილოვისა და მეორე ზიგის ზღვისურებთანაო. ამ ქარხანებში შეშის მაგიერ თურმე ნავთი უნდა იხმაროს; შაქრის დერწამი მიზანდარანიდამ უნდა ზიდონო. ან ქარხანების შაქარი ერთობ აზიის ბაზებისათვის არის დანიშნულიო.

„ეპეპაზის“ 46 №-ში წავიკითხეთ წიგნი რედაქტორთან მიწერილი უფ. ლიხაჩოვის მიერ, რომელიც კავკასიაში ქრისტიანობის აღმაღვენელის საზოგადოების სახწავლებელთ ინსპექტორია. ამ წერილში უფ. ლიხაჩოვი ცდილობს დაამტკიცოს, რომ

ქართულის ენისათვის მას არა კითარი დაბრკოლება არ მიუცია და კიდევაც გაგზავნა სახტავლებლებში იანგრის შემდეგ ქართული სახარება და „ღედა-ენა“. ეს ფიცი კი გამარტინი, მაგრამ ბოლო გვაკერვებს. აი ამ საგანგებ რასა გვწერს ფეხერვლის დამდებს ერთი სახალხო სახტავლებლთან ახლო მდგრმელი ჰირი, რომელსაც არა კითარი მიზეზი არა გვაქს, სიტყვა არ დაუჯეროთ: „ამასწინეთ აქ იყო ლიხახოვი, რომელიც სტრელეცის მაგივრად არის დანიშნული, და ეს სიტყვები უბრძანა მასწავლებლებსა: „დაანებეთ თავი თქვენს ენას, ჯანაბას დაიკარგოს“. — სამშობლო ენისათვის უროკები არ არის დადგებული, და სახელმძღვანელო წიგნები სახტავლებლებში არ მოიძებნება. — დედ-მამანი მაგრე რიგად არ თანაუგრძნობენ სახტავლებლებს იმ მიზეზის გამო, რომ დედა-ენას არ ასწავლიან, რის გამოთაც თავში მტკიცედ უზისო გლეხებს ის ჰაზრი, რომ სალდათათ წაუგანა უნდათ ჩერი შვილებისათ და ამის გამო მარტო რუსულს ასწავლიანო. „რაც შეხება სახარების და „დედა-ენის“ გაგზავნას თებერვლის გასულს, ეგ მართალია, მაგრამ ათიოდე ეგ ზემომიარის მიწოდება სახტავლებლებში სადაც ორასამდის ქართველი ბავშვი სწავლობს, რაიმე ხელმოსაჭიდვებელ საბუთათ თუ გამოდგება, თორებ ენის სწავლას კი ეს, ცხადია, ვერას დაქმარება.

ლექსი 7. ალექსანდრე ჭავჭავაძისა.

I

ეს სოფელი სამეო მნელი, მხენაბული ჭმუნების აღთა! არ გიშებით, მესვე ვასტირით, ვით წინად-მგრძნი მომა-
გალთა,
მოვიზდებით წიგნის კითხვით არ გაგვიძრობს მწვრთველი
თვალთა,
ქამი გვირთებს, იგი გვიძახს, შეუძლით სიბრძნის კალთა.
რა ჰასაგა შეფალთ, ახლად ჭირი უფრო გვემრავლების:
თვალი გულს ჰსცედის, გული გრძნობას, გრძნობა ტრიო-
ბას ექვებალების,
სახე რამე საუგარელი დაგგატევებს თვის მებრ ნების,
და გლის შეგვექმს პატიმარად, მეცნებარად და მოქმედად ვების.
ოდეს შეფალთ სანსა სრულსა, მაშინ კვლავცა სხვა გვაქს წუხა:
არა გამომარბოთ საქმათა, ნდომა ჩერი უზომ, უხვა;
გვსურს დიდება, გვსურს პატივი, გვსურს სახელის განთქმა,
რა გერ გამოვებოთ საწავლასა, მეგმენების შერით ჭმუნა.

ოდეს წელთა ტეირთის ზიდვით ქედსა მშვილდებრ მოვინ-რებით, ქაველავე მოვმაგდებით, ზე გველების გრძნობის კლე-
ბით, სიგვილისა წინა-მძღვარად მოვლენ სენი მახვილ-ღებით, მათგან ქროი გვცემს და გვეტევის, „ახით ნაშვნა, მოგვდით ვებით!“

II

ესა ჩემო ოცნებავ, კვლავ რად წარმომედგინე და დასი მცნობოთ ჩერებათ უბრალოდ რად მომფინე? რად მიჩვენებ სახესა წარსულთა მათ ნებეშთა, — ერთხელ ჩემის სიცოცხლის ნაზად დამატებობელთა, რომელიც მე ბედმან უწეალოდ დამითრგუნა და გლახ მე მარად მტრალს მცირედიც არ მიბრუნა.

ნე მიტყვებ, ოცნებავ, მომეც მველნი სილვანი, მომეც მე მველნი ცრემლნი და მველნიცა ოხვრანი; წარსულისა სიცოცხლის ნიავი კვლავ დამქროლე და დამატვრალს სულსა ჩემს სიტგბო მით განუხლე. გვედრებ, ნედა მმორდები, განმიგრძე სისარული, რომე ხსოვნითა ოდენ დავიტებო წელული გული.

ცხოვრება და კანონი.

წერილი მესამე.

ჩვენ წინა წერილებით ვცდილობდით დაგვემტკიცებინა, რომ წილზე-ჭერა მამულისა: 1) მიზეზიანი და სადაციდარაბო უფლება-მოვალეობაა ორთა წოდებათა შორის; 2) ჩვენის ხალხის ჩვეულებაზე არ არის აღმოცენილი იმ სახით მაინც, რა სახითაც იგი გლეხთა განთავისუფლების დებულებამ ჩვენში შემთიტანა; 3) ეკონომიკურის შხრით, თუმცა ემობაზე ბევრად უკეთესია, მაგრამ მაინც მავნებელია; 4) მიწის-ჭერაში ჩვეულება უველა სხვა ძალაზე მტკიცეა, თვით რჯულია და 5) ამის გამო პირებელი და უპირატესი ურადღება მიქცეულ უნდა იქმნას ჩვეულებაზე, როცა მიწის-ჭერის შესახებ რაიმე ცვლილება საჭიროდ დანახულია.

რომ ნაუმევის მიწის-ჭერის შესახებ ცვლილება საჭიროდ დანახულია თვით მთავრობისაგანაც, —

(*) აა ნაძღვილი სიტყვებით 172 მუხლისა: „ეკვასის ნაძღვების მეცნეობა დასტურად კანონის მოყვანისათვის ცნობაში გარდასახადთა ჩაოდენობისა მიწისა მთსაცლოთა. გლეხთა მიძღვისა მიწათაცნ და ძღვიაცნ; გარდასახადი ესწი დაფასედს ფულად შეთასწორებით ადგილობრივთა მთხოვნდებათ ნაძღვილის მთსაცალთ ღირებულობისა და დაწესეს ადაფასებით გარდასახადი მთხელენებულია მიწათა და ბაზათათვისა.“

ამას ცხადად გვიმტკიცებს 172 უწლი (*) გლეხთა განთავისუფლების დებულებისა. მაგ შუხლშია გამოცხადებული მტკიცე განზრახვა მთავრობისა მიქცეული ძალები, რომ წილზედ ჭერა მამულისა – ეგ სადაციდარაპო, წინადგე განუსაზღრელი დალა ერთს გარდაკვეთილ გარდასახადად იქცეს. ეს განზრახვა ამ მხრით და მხოლოდ ამ მხრით ეთანხმება ჩვენის ხალხის ჩვეულებასა, რაგდანაც წინა წერილიდამ ვიცით, რომ ჩვენში თითქმის უკელვან დალა გარდაკვეთილი ჰქონია მოვარდი და არა საწილო. როგორ უნდა მოვიდეს ეს ადსრულებაში? დებულებაში მოხსენებულია, რომ:

- 1) ჯერ უნდა წესი დაიღოსთ ძალები თუ როგორ მოივარონ წნობაში აწინდელის წილადობილის დალის რაოდენობათ;
- 2) მერე ადგილობრივის გარემობის მიხედვით ეს რაოდენობა დალისა ფულად დაფასდესთ და 3)
- 3) მას შემდეგ ნაუმევის გარდასახადი დალა ერთობ ფულად განისაზღროსო, ესე იგი, ჩვეულებრივი მიწის მოსავლით გარდასახადი მახტად გადიქცესო.

ამ კანონ-მდებლობას რომ თვალი დაგაგვირკოთ, ერთს განსაკუთრებითს ღირსებას ვიშოვით. აქ ცხადად გამოხატულია მთავრობის გულითადი მეცნიერობა, რომ ეს აუცილებელი ცვლილება ორიგვე მხრისათვის სამართლიანად მოახდინოს. ამაში მთავრობას უოველივე ჩვენი თანაგრძნობა ექვთვის. მაგრამ, ჩვენდა სამწერაოდ, მთავრობისაგან აღნიშნულის გზით განზრახველი მისგან ცვლილება აუსრულებელია. ამას ამტკიცებს ის თვალსაჩინო მაგალითი, რომ აი მეცამეტე წელიწადი მიდის და ამ მხრით საქმის წინ წაწევისათვის არავის არც ხელი გაუნძრებენა, არც ერთი ბიჯიც არ გადუდგამს. ჩვენის ფიქრით, თუნდა მოეწადინებინა ვისმეს, აუარტებელი დაბრკოლება წინ დახვდებოდა და პირველის ბიჯის გადადგ მაზედვე გულს დაჯერებდა, რომ აღნიშნულს გზაზე სვლა კოფილ შეუძლებელია. ჩვენ ვერ მოკვიფიქრებია რა წესი უნდა იყოს იმისთანა, რომ სახენავ-მიწისა და ვენახის მეოთხედი, ანუ სათიბის-მიწის მესამედი ცნობაში მოივაროს და ეს მოუვანილი ცნობამართალი და უტესარი იყოს. აქ ჩვენის ფიქრით, ერთს რასმეს შეეძლო შეედა: მას რომ წნობილი იუს ვის ვისგან რამდენი რგებია მეოთხედობიდამ ამ ცამეტს წელიწადში და მერე რიცხვთა შეა ანგარიშით კაცს გამოევანა თვითვეულის მებატონისათვის და თვითვეულის ნაუმევისათვის მაგ წილადობილის დალის რაოდენობა. განა ეს შესაძლებელია? ან ერთმა მებატონებმ, ან ერთმა ნაუმევმა იცის ეგა?

საბუთიც მოეთხოვათ. უამისოდ ხომ არა რაიმე ცნობა დასაჯერი არ არის და არც იქნება. თუ ეგრეა, განა ამ გვარად ცნობის შეკრეფას ბოლო მოედებოდადა როდისმე? არ გვგონია.

ვასტექვათ რომ შეუძლებელი შესაძლოა, ვასტექვათ რომ რაოდენობა ცნობაში ასე თუ ისე მოუგანილ იქმნას, მას შემდეგ ერთი სადავიდარაბო – იმ რაოდენიმის დაფასება იქმნებოდა. ხუთუ ეს ვისმე ადგილი ჰქონია? ფასის აწევ-დაწევაზედ ათასი მიზეზი მოქმედობს. ეგ მიზეზი დღეს ერთია, ხვალე სხვა. ადგილობრივის გარემოების მიხედვით ეგ უნდა მოხდესო, ამბობს კანონი. რა რიგად ზედ-მიწევნით უნდა აღინუსხოს ეგ გარემოება, რომელიც მრავალ გვარია, რა რიგად ზედ-მიწევნით უნდა დაიღვას სახურზედ უველი იგი, რომ ამ შემთხვევაში არც მწვადი დაიწვას და არც შამფური. სად არის ამის ღონისძიება? მერე დღეს დაგვენილი ფასი, დღევანდელს გარემოებაზედ დაფუძნებული ხვალაც ისე იქნება? ვის შეუძლიან ამისი თქმა? ვის შეუძლიან შსთქვას, რომ ამ შეთხვევაში ან შებატონე არ დაპარგავს და ან გლეხი? თუ ასეა, მაშმაგ დაფასებაში სამართლიანობაზედ იქმნებს უნდა გამოვეტოვოთ. თუ სამართლიანობა არ იქმნება, მაშ ან გლეხს რა გაუმთელებს ნატექს გულს, ან მებატონესა? სამართლით მოქრილი ხელი არ მეტკინებათ, ამბობს ჩვენი ქართველი კაცი. უკრადღების ღირსია ამისთანა რწმენა ხალხისა, თვით დალის ფულად ქცევა, ესე იგი, მახტის დაგვენა მიწის-ჭრაში დიდად გაუმნელებს გლეხს თავისის მოვალეობის აღსრულებას და ნაბატონარსაც არას შემატებს. პირველი, იმიტომ-რომ დალის ხდა ფულად ჩვენს ჩვეულებაში თითქმის არა უოფილა, გარდა ორიოდ მაგალითისა, რომელიც მხედვლობაში არ მიიღება, და მეორე, იმიტომ-რომ ფული მნელად ჩაუვარდება გლეხსა, რომლის სიმდიდრე დღესაც ფულიანობით კი არ იზომება, არამედ ნურისა და ღვინის ნეტ-ნაცლებობითა, ესე იგი, მიწის მოსავლითა. თუნდეგ არ იქოს, ჩვენ ვერ მიმხვდარგართ – რა საჭიროება მოითხოვს, რომ სულადით გარდასახადი ფულად იქცეს? საქმე მაგ გარდასახადის განსაზღვრაა. რაკი ეგ განსაზღვრება, მაშინ ერველივე წილადობილის დალის მაზნებელი შედეგნი მოისპობიან ცოტად თუ ბეჭრად და ამაში სულადით გარდასახადს, თუ ფულად გარდასახადს არა ვითარი ზედ-მოქმედება არა აქეს. თუ ესეა, რად უნდა ტეუილ-უბრალოდ შეირეეს ჩვეულება, რომლის მეობებითაც გლეხი დღეს აქმომდე დალის თუ კულუხს მიწის მოსავლით იხდიდა და ფულით გარდასახადს ერიდებოდა. ჭირი ხომ ჭირია, მაგრამ ჩვენი ხალხი ამაზედაც ამბობს, რომ შეცვეული ჰსჯობის შეუჩვევარსაო.

ერთის სიტყვით იმ გზით და სახით, რა გზითაც და სახით ნაჩვენებია დებულებაში გლეხის აწინდელის გარდასახადის გადაკვეთა ჯერ შეუძლებელია და მერე თუნდაც შესაძლო იქთს, ერთს შხარეს მოვალეობას უმძიმებს და მეორეს ამით არას მატებს. ჩვენ ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ წილზედ-ჭერას შევდა არა აქვს, არსაიდამ მოვალება. შველა აქვს და მაღიან ადგილიცა, ოღონდ კი მიუმართოთ ჩვეულებას და იგი დაგვანახებს სსის გზასა. თუ ამ მხარედა მხარე, მაზრა და მაზრა მაინცა ამ შემთხვევაში დიდს ერთ-იგერობას და ერთ-გვარობას წარმოგვიდებენს. არ არის შხარე, არ არის მაზრა საცა დღიურზედ გადაწევეტილის ზომისა და დადგენილის სახის დალა არ ჰქორმოებდეს. სად როგორი ჩვეულებაა, სად რა სახის და რა ზომის დალაა — ეგ ადვილად საწნობია, იმიტომ-რომ ეგ ადგილობრივ დიდმა და პატარამ შეუდომელად იცის. გამოიძიონ ეს, ცნობაში მოიგეანონ ჩვეულებით დაგვენილი დალის რაოდენობა და სახე და ერველ ამის კვალად გადაკვეთონ აწინდელი წილადობილი დალა თავ-თავისის ადგილის მიხედვითა. არც გლეხი იწევს ამასა და არც ნაბატონარი, იმიტომ-რომ მათს გარეშემო მწარმოებელს ჩვეულებაზედ იქმნება ერველივე ეს დამეურებული და ამით არც მწვადი დაიწვის და არც ძამფური.

ეს ერველივე რაცა ვაჭსთქვით, მხოლოდ მინდვრის მიწებს შეეხება და ჩვენის ფიქრით, ვენახების თაობაზედ უფრო ადვილად შეიძლება საქმის გათავება. აქ ჩვეულებამ თავისი ჰქმნა კიდევ და ამ ჩვეულებას თუ გარედამაც ხელი შეეწერ, არ გავა ხეთი, ექვთი წელიწადი, რომ ნაუმევნი ვენახების ნატონად შეიქმნებიან. ჩვენში ჩვეულება იქო, რომ კინც სხვის მიწაზედ ვენახს გააშენებდა, ნახევარი გამშენებელისა იქო და ნახევარი მიწის ნატონისა. აქაც ჩვეულებამ დაგვიმტკიცა, რომ მიწის-ჭერაში უძლეველია. თითქმის მთელი კახეთი მორიგდა გლეხობას ვენახების თაობაზედ მაგ ჩვეულების წინამდომელობითა და მაღითა, თუმცა აქაც მეოთხედი იქო გულუხად დაწებული მთავრობისაგან, მაგრამ არც ნაბატონარმა ინდომა ეგ და არც ნაუმევმა. აიღეს მათ და უდრტვინელად, უდავიდარაბოდ, მშვიდობიანად ვენახები შეაზედ დაიექს, და ამ რიგად გლეხი ვენახის ნატონად შეიქმნა. ამ გვარი მორიგება წენარ-წენარად გადადის ტფილისის გუბერნიის სხვა ადგილებშიაც. ამაში შესანიშნავი ის არის, რომ გლეხი უფრო ეტანებოდა ამ გვარად საქმის გათავებას, ვიდრე ნაბატონარი; დღესაც გლეხს უფრო უნდა მაგ გვარად საქმის გათავება ვიდრე ნაბატონარსა. ნაბატონარი ამ შემთხვევაში უკან იწევს იმიტომ-კი არა, რომ ეგ საზარალო ეგონს. არა, ნაბატონარმა კარგად იცის, რომ აქ არა ეკარგება რა, რადგანაც იმ ნახევარს

ვენახისას უველა სანახევროდ აიღებს და ნახევრიდან ნახევრი ისევ იმ მეოთხედს შეადგენს მთელიდამ. ამაში მოგებასაც ხედავს მით, რომ თავის წილს ვენახის თვით უველის და საშფოთველი გლეხთან არა აქვს რა. მაგრამ ერთი რამ აბრკოლებს, სახელდობრი ისა, რომ წერილ-წერილი ნაჭრები შეხვდება სხვა და სხვა ადგილას გაფანტული. ამით მოვლა და თვალუერის ჭერა უმნედება. მაშასადამე რომ ამ საქმეს ნაბატონარისაგან დაბრკოლება არ მიუცეს საჭიროა — ნაბატონარს დონისმიება მიუცეს რგებული ვენახების ნახევრები ერთს ადგილას შეაგროვოს. ამისათვის გაცვალა-გამოცვალა ვენახებისა უნდა გააღვილებულ იქმნას. იშვიათად არის რომ ნაუმევთა ვენახები სახასო და საეკლესით გლეხთა ვენახებში ჩატირებულ არ ივენენ და რადგანაც სახასო და საეკლესით გლეხთა ნება არ აქვთ ვენახების გაცვლისა, ამის გამო ერთს ადგილას მოგროვება ვენახებისა თითქმის შეუძლებელი წდება. რომ ამ გვარს მორიგებას ფეხი ახტარებინონ იქ, საცა ფეხი ადგმული აქვს კიდევ, როგორც კახეთში და ფეხი აადგმული იქ, საცა ჯერ ფეხიც არ აუდგამს, საჭიროა მთავრობამ ნება მიანიჭოს სახასო გლეხს, რომ საცა ხელს მიშვევმს, დაუბრკოლებრივ შეუცვალოს ნაბატონარს და ნაუმევს ვენახები ურთიერთ მორის მორიგებითა. ამისათვის მთავრობამ ერთი საერთო განეარგულება რომ მოახდინოს დიდს შემწეობას მისწევეს ნაუმევსაცა და ნაბატონარსაცა.

გამოიცვლება 172 მუხლის ძალითა აწინდელი წილადობილი დალა და კულუხი თუ არა, მაინც და მაინც ამას ვიტევით, რომ ეს არ არის გვირგვინი ბატონების საქმისა. ეგ შუა გზაა, უკეთესი მასზედ რაც არის და უარესი მასზედ, რაც სახატრელია. მაგაზედ განერება უფლად შეუძლებელია. დღეს თუ ხელე საჭიროება მოითხოვს, რომ გლეხი მიწის ნატონად შეიქმნას მთავრობას წინადვე უგრძენია ეს აუცილებელი საჭიროება და მის აცილებისათვის დონისმიებათ მაულების შესეიდგა დაუნიშნავს.

მთელი კანონ-მდებლობა ამ საგანზედ იმავე საფუძველზედ არის დამეარებული, როგორც საერთოდ რესეტში. როგორც რესეტში ისე ჩვენშიაც მაგ კახონებს ეტერბა, რომ კახონ-მდებელთა ორის რასმის ფიქრი ჰქონიათ. ერთი იმის ფიქრი რომ გლეხობა არ ინდომებსთ მაულების შესეიდგასათ. ამის გამო გლეხს ვალად დაადგეს, რომ თუ მებატონე მოითხოვსთ, უსათუდ სახნავ სათიბი მიწები და სასახლის ადგილი უნდა შეისუიდოვო. რადგანაც საფიქრებული იქო, რომ ამ გვარად მალად შესეიდგისათვის გლეხს უველის სახსარი არ უქმნებოდა, ამიტომაც მთავრობამ დააწესა გლეხს ფეხს გასესხებო 49 წლითა და წელიწადში თავნისა და სარგებელში ათს თუმანზედ გამოვართმევო ექვს მანეთსა, რომლიდამაც წუთი

სარგებელში წაგათ და ერთი თავნშით. მეორე იმის ფიქრი ჰქონიათ, რომ გლეხობა თავთავის ვადაზედ ფულს ვერ შემოიტანს და ამით სახელმწიფო ხაზინა იზარალებს. ამისათვის 49 წელიწადი დანიშნებს სესხის ვადად, თუმცა ასტედ ერთი მანეთი თავნს 37 წელიწადს ასწორებს და იშორებს. აյ თორმეტი წელიწადი მეტია დანიშნული, იმიტომ რომ ხაზინას რაც 37 წელიწადში დააკლება ამ თორმეტის წლის შემოსატანის ფულით შეისრულოს.

იქნება ამ ორს ჭრუაში მოსახლელს საგანს რაიმე საბუთი ჰქონდეს რუსეთში, მაგრამ ჩვენში კი არა მგონია, ჩვენი ხალხი თავისის ბინადრობის დიდი და მეტიდრი მოუვარეა. იგი სოფელი საცა მის მამა პაპას უცხოვრია, საცა მამა პაპის ძლიერი უმარხია, საცა მამა პაპის სალოცავია ჩვენის გლეხისათვის მეტად მეორფასი რამ არის. დღესაც თუ ბედის ბრუნვას ერთის ადგილიდამ მეორეში გადმოუსახლებია ვინმე, იმის შეიღი შეიღი შეიღი და უფრო მორეული შთამომავლობა თითქმის ერველ წლივ უწინდელის ბინის დასახელდა მიღის, მამა პაპის ხატისა და სალოცავის თავავანის საცემლად დაიარება. ამისთვის არც ხარჯს, არც დროს და არც გზაზედ სიარულის შრომას არა ზოგავს. თუნდ ეგენ არ იქოს, ევგლასაგან და ეველგან წნობილია, რომ მუშა კაცი ერველთვის იმის ნატერაშია სადმე ბინა მოიგიდოს, სადმე თავისი საკუთრება იქნიოს და მიწის-მომქმედი მუშა ისე არა ქონებას არ ეტანება, როგორც უძრავსა, ესე იგი, მიწასა, ადგილ-მამულება. ამ გვარებში ნამეტნავად ჩვენი გლეხია დირს-შესანიშნავი. თუ კი თავის ახლო-მახლო მამულს როგორმე შეიგულებს, თავს დაიგირავებს, ცოლ შეიღი დაატევევებს ხოლმე, გაღმი, გახში ჩავარდება და მამულის სეიდვის შემთხვევას კი არ დაჭერაგავს. ჩვენებური გლეხი წელს გაიმაგრებს თუ არა, მარტო იმის ნატერაშია, რომ მამული იუდო.

რომ ჩვენის გლეხის მიღრებილება მამულის სეიდვისადმი ძლიერი და დაუძინებელია – ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ სამს თვალთ-ხაჩიოს, უცილოს მაგალითს: 1) ჩვენებური გლეხი რაკი მამულის სახეიდლად გაიწეს, მას არა ფასი არ აშინებს უკან არ დაახვედვინებს და ამის გამო რასაც გლეხი იმეტებს მამულის სახეიდლად, იმოდენას თავის დღეში სხვა კაცი ვერ გაიმეტებსა. ფასის აღმატებაში გლეხს სხვა კაცი წინ ვერ წაუკა და ვერც შეეცილება. ეს ეველასაგან წნობილია. ჩვენ იმის თანა მაგალითიც ვიწოდ, რომ ასეს საქენს სოფლის ცარიელს მიწაში გლეხს აცი თუმანი მიეცეს. ვაშტევათ რომ ეს მხოლობით შემთხვევაა, მაგრამ მაინც ეველამ იცის რომ ჩვენებური გლეხი, რაკი დონისძიებას ხელით იგდებს, გივურის ფასის მძლეველია. წნადია, რომ ეს გულ უხვად ფასის გამომეტება განსაკუთრებით

გლეხის მიღრებილებისაგან არის წარმომდგარი, და აქ სხვა რაიმე ექინომიური მოსახლება და ანგარიში არ მოქმედობს. 2) აუარებელი ნასეიდობის ქადალდები წარმოადგინა ჩვენმა ნამეუ-გლეხობამა საგლეხო სასამრთლოში დასამტკიცებლად იმ მამულების თაობაზედ, რომელიც ჯერ კიდევ ბატონ-ემბოის გადავარდნის უწინ ეკიდნათ, ესე იგი, მაშინ, როცა გლეხების საკუთარი და მეგარად შეძენილი მამულიც ბატონის ნებაზედ იურ მინებებული და ბატონის საკუთრებათ ითვლებოდა, ჩვეულებით თუ არა, კანონით მაინც, და როცა კანონი გლეხს საკუთრების სიმტკიცისათვის მფარველობას არც პარიდებოდა და არც უწევდა. რა ძლიერი მიღრებილება უნდა ჰქონოდა, რომ ამ გვარის წეობილების წინაშე გლეხი მამულის სეიდვაში მაინც უკან არ იხვდა და მაინც მამულს ეიდელობდა. 3) მარტო ქუთაისის გუბერნიაში, საცა გლეხობა ეველას უფრო დარიბათ მიგვაჩნია, ბატონ-ემბოის გადავარდნის შედევე რვა ათას სამოც-და-ხუთმეტმა (8075) ნამეუთა კომლა შეისეიდა თვისი ნაჭერი ადგილ-მამულები ნაბატონართაგან და ერთი მილიონი ას ოთხი ათას რვაას სამოც-და-ათი (1, 104,870) მანეთი თავისის საკუთარის ჯიბიდაში მიშნეა, ასე რომ მთავრობის შემწეობაც არ ითხოვა. გერმანიაში თუდა შეიღი წელიწადში მაუმევთაგან მარტო მეოთხედმა ნაწილმა ძლიერს დაიხსნა თავისი ადგილ-მამულები, ისიც მთავრობის შეწენითა, და იმერეთში კი (გარდა სამეცნილოსი) ერთმა ძესამედმა 10 წელიწადში გამოისხნა თავისი მამულები, ისიც მთავრობის დაუხმარებლად. ნე თუ ეს მაგალითები არ ამტკიცებენ მას, რომ ჩვენებურს გლეხმი დიდი მიღრებილებაა მამულის შემნისადმი. აქედამ პსხანს, რომ ის კი არ უნდა ეფიქრათ გლეხი მამულის სეიდვას არ ინდომებსო, ფიქრი მებატონისა უნდა ჰქონოდათ, რომ იგი მამულს არ გაჰქიდდა. ამის წამალი უნდა მოექობინათ. ეველგან ერველის ხალხის კანობებში ის კი თქმულათ, ამბობს ერთი რუსის მწერალი, რომ სახელმწიფო საჭიროებისათვის, საუკელოთაო სიკეთისათვის ძალად გააჟიდვინოს ადგილ-მამულით და ძალად აჟიდვინოს კი – ეს არსად გაგონილათ.

ჩვენის ფიქრით, მეორე შიშიც რომ გლეხი პირნათლად ვერ გამოვათ მთავრობისაგან ნასექნის ფულის გადახდაშიო, ჩვენის გლეხ-ეაცის ავ-კარიანობაზედ არ არის დამეარებული. ოდონდ გაუადვილდეს გლეხს მამულის სეიდვა, ოდონდ კისერზედ ნე მოეხვევა უხეირო, უხმარი მამულები და ამითი გული ნე გაუტერება და იგი ნასექნის ფულის გადახდის თაობაზედ პირ-შავად არ გამოვა. სასოფლო ბანები, თითო ორთლა მაგალითი საადგილ-მამულო ბანებისა ცხადად გვიმტკიცებუნ, რომ გლეხი ვალის მომორებაში უტევარი არიან. ეს იციან არამც თუ მათ, ვისაც გლეხთან გულ

შემატგიგრად საქმე დაუჭირიათ, არამედ იმათაც ვისაც
მათვის ძალის სასახლა ფული უსესხებიათ. ამიტომაც
სესხის ჯეროვანს ვადას ვადაშეტებული თორმეტი
წელიწადი, რომელიც წინ მოვიხსენიეთ, მეტის მეტი
სიფრთხილეა, მით უფრო რომ ეს სიფრთხილე გლეხს
აწვება კისერზედ, ძაბინ როდესაც იგი მაგის მიზეზი
არ არის. დიდი შეღავათი იქნებოდა გლეხისათვის,
რომ ერთისა და იგივე გარდასახადით ვალი ოცდა
წევიდებუს წელიწადს მოემორებინა და არა რომოცდა
წერასა, როგორც ამ ქამად არის დაწესებული.

თუ გლეხს მაგისთანა წეურვილი აქვს მამულის სეიდფისაო, თუ მთავრობისაგანაც მამულისათვის საჭირო ფულს კერე იაფად შოულობსო (თუმანქე სამი აბაზი თავნში და სარკებელში 49 წლის ვადით), მაშ ნაემევთაგან მამულების დასხნა კერე ტაატიორად მიდისო, გვეტმვიან ჩვენ. ამისი მიზეზი ბევრია, და მათში არც ერთი იმისთანა არ არის, რომ გლეხის ბრალი იეოს. ჩვენ ამ ქამად მარტო უმთავრესს მიზეზებს მოგიხსენიებთ.

განონით ნაემევსა ორის გზით შეუძლიან მამულის
სეიდგა: ერთი — თავისის ფულით მთავრობის
შეუწეველად და მეორე — მთავრობისაგან ნასესხის
ფულითა. გლეხი ერიდება თავისის მამულის დასხნას
საკუთარის ფულით, იმიტომ რომ ბევრს მაგალითებს
სედავს, რომ ამ რიგადაც მამულის შეძენისათვის
კანონიერის სიგელის გამოტანა უმნელღებათ და
უგვიანებათ, რადგანაც ამ გვარად სეიდგაშიაც
მომრიცებელი შეამდგომელი (Мировой
посредникъ) და ერთობ საგლეხო გამგობა არ
კიცით რისთვის ერება (*) და უამისოდაც რთულს
საქმეს სიგელის დამტკიცებისას საზოგადო
კანონისამებრ უფრო ამნელებს. მაგალითებრ,
თვით მთავრობას წნობილი აქვს, რომ ქუთაისის
საგლეხო გამგობას თითქმის 1877 წლამდე არც
ერთი ამგვარი სიგელი არამედ თუ დაუმტკიცებია, არც
კი განუხილავს, ნუ დავიცირებულ, რომ 8075 კომლის
სიგელი მაინც უნდა იუს ქუთაისის გუბერნიაში ამ
ქამად. რასაკვირველია, გლეხ-კაცობას ამ გვარი
საქმის გამნელება და დაგვიანება, კოველს ხალისს
თუ არ მოუკლავდა, სეიდგის სურვილს მაინც და მაინც
დიდად შეუენებდა.

საკვირველია, რომ მთავრობის შემწეობით სეიდვას გლეხი უფრო ერიდება, თუმცა, ადგილობრივის მიხედვისა გვალად, მთავრობა ბევრით იაფად აძლევს გლეხს სესხსა. ამისი მიზეზი ის არის, რომ სესხის გადასახდელად ურთიერთის თავ-დებობაა კანონად დადგენილი.

ებ ჩვენებურის გლეხის ჩვეულების ზორ-და-ზირ წინააღმდეგია, წინააღმდეგია მისის მეურნოების გამართულობისა, მისის კონტიურის მდგომარეობისა და მოწეობილებისა. რუსეთში მაგას თავისი ადგილი აქვს და თავისი ჯეროვანი საბუთიცა. იქ მამულების საერთოდ-სასოფლოდ (мірськое) მფლობელობა არის და საერთოდ-სასოფლოდ მფლობელობას საერთო მოვალეობაც მოსდევს. კარგია თუ ავია საერთოდ-სასოფლოდ მფლობელობა მიწისა ჩვენ ამის გამოძიებაში არ შევალო. ჩვენ მხოლოდ ამას ვიტვით, რომ ურთიერთის თავდებობა უსაბუთოა, იქ საცა საერთო თანა-ცორი მიწის მფლობელობა არ არის. ლაგელე ამბობს, რომ ურთიერთის თავდებობას მაშინ აქვს ადგილი და საბუთიო, როცა მიწის საერთოდ მფლობელობიდამ არის წარმომდგარიო. ჩვენში მფლობელობა ადგილ-მამულისა, მეურნოების გამართულობა, ეკონომიკური მოწეობილება კომლეულია, განსაკუთრებით საოჯახოა და არა საერთო-სასოფლო. ამის გამო ჩვენში ურთიერთის თავდებობას მარტო მოვალეობის თვისება აქვს გლეხისათვის. და ორც მაგ მოვალეობას უფლება მოსდევს, იმ უფლებას კი ჩვენებური გლეხი მოკლებულია. რადგანაც ჩვენს დებულებაში ისევ ის ჩვეულებრივი კომლეული მიწის-მფლობელობაა ჩვენის გლეხის მდგომარეობის დედა-ბოძათ მიღებული, ამის გამო არავითარი საბუთი არ იქნა, რომ ურთიერთი თავდებობა შემოვლით და ვალის წედა კომლეულობით არ მოქანა. ჩვენებურს გლეხს არ ესმის და, ცწორედ გითხრათ, ვერც გაიგებს რისთვის უნდა იხადოს სხვის მაგიერი ვალი, მაშინ როდესაც იმ სხვას თავისი საკუთარი ბინა აქვს, თავისი მიწა და ქონება; იმ მიწასა და ქონებაზედ თვით არა ვითარი უფლება არ მიუძღვის არც საზოგადოებრივი, არც კერძობრივი. ერთობ, ეგ ურთიერთის თავდებობა დიდად აშინებს გლეხსა და მთავრობის თავდებობა დიდად აშინებს გლეხსა და მთავრობის გეთილ განხრას ულს შემწეობაზედ ხელს აღებინებს. გლეხს ამას გარდა კიდევ ის აფხთობს, რომ ხაზინასთან საქმის დაჭრა უმნელება. მრავალის მაგალითით გული დაუჯერებია, რომ მოთანამდე პირთა გულმოვდგინებისაგამო, ხაზინის გარდასახადი ერთი აბაზი ხსირად მანეთად დაჭავდომია.

თუ ეს არ იქნას ოდა უნდა ერიდებოდეს გლეხი
მთავრობისაგან გალის აღებას? რომ ერიდება ამის
მაგალითად იმდეს მოვიყვანო, რომ იმერეთში გლეხ-
ეპიფანი ერთ შილდიონზედ შეტი ფული მისცა თავის
მამულების დასახსნელად, ისე რომ მთავრობას ერთი
გროშიც არ ესესხა, თუმცა ტფილისის გუბერნიაში
ათას ორას ოცმა (1220) კომლება გამოისუიდა მამულები
და ამისათვის მთავრობისაგან სამას თოთხმეტი ათას
ცხრაას ოთხმოცდა წეთი (314,985) მანეთი ისესხა,

(*) обо́лью: Приложение № 17 (примеч. 2) наказа по выкупной операции въ Тифлисской и Кутаисской губерніяхъ дѣлъ: 8, 9,

მაგრამ ამათაც კი გამოუცხადებიათ სურვილი, რომ ეს ფელი სულ ერთბაბად შეიტანოს ხაზინაში. (*) გულდაჯერებულნი უნდა ვიკეპეტო, რომ ამ ორს ჟემთხსენებულს შემთხვევაში გლეხი ვალის აღებას არ გადევრჩებოდა და იძახედ იაფად, როგორც მთავრობას განუზრახავს, სად იშოგის გლეხი მაგ გალსა? არსად, და მაინც, როგორც ეტეობა, გლეხ-კაცობა მამასის ხლად ვალის აღებას უფრო რჩეობს, ვიდრე ხაზინისაგან დიდის შედაგათით სულის გამართვასა.

ეველაზე უმთავრესი მიზეზი, რომელიც ნაემეგო
მამულების დასხესას ხელს უმლისდა დიდად აბრკოლებს,
ის არის ომ ნაემევი ძამულს გერ იყიდის, თუ მებატონე
ამას ვერ მოიწადინებს. ამ საგანზედ ჩვენი ჩზრი
ზემოდ გამოჰკითვით. აქ მხოლოდ აღვნიშნავთ თუ
რა აბრკოლებს, ომ აქამდე ეგ წადილი იმოდენად
ფეხ-აღგ მული არ არის, რამოდენადაც სასურველია.
აი ჩვენის ფიქრით, რა აბრკოლებს: ზოგი მებატონეა
დღესაც, ომ მისი დღეობაა, როცა გლეხი მასთან
სახევწრად მოვა და მძიმედ თავს დაუკრაგს. აწინდელი
მიზეზით სავსეკავშირი მათ შორის ამ თავ-მოუკარეობას
ცოტად თუ ბეჭრად ხელს უმართავს და მებატონე ამით
კმაულილია. ბატონ-ემობაში დაბადებულს, ბატონ-
ემობაში გამოზღილს მებატონეს, რასაკვირველია,
ემნელება, გული ეთანალება, რომ მის გარეშემო
ბატონობას ავალბა აღარა აქვს და ფიქრობს, რაკი
წეალს მივევარო, ხავს მაინც მოვეჭიდოთ. ხავსათ
კიდევ მიზეზიანი მეოთხედობა გაუხდია და ამას
მაგრად ქვიდება. ჩვენდა სასახელოდ, ამისთანანი
ბევრნი არ არიან. ზოგი მებატონეა რომ თუმცა
დებულების ოქმი მეოთხედობა მოუხსენებია, მაგრამ
ამ მიზეზიანის მოვალეობის შემწეობით გლეხი იქამდე
მიუვანია, რომ იგი ძალა-უნებურად მორიგებია
მებატონეს შინაურულად, სიტყვით და უწინდებულად
გაუბებურავს თავი, ესე იგი, გარდა გარდაკეთილის
დაღისა და კულუხისა გლეხს მებატონისათვის
მუშაობაც უკისრია. რასაკვირველია, ამ გგრის
მებატონისათვის ძამულის გასეიდგა, რომელიც
გლეხის სრულს განთავისუფლებას მოახწავებს,
სანატრელი არ იქმნება, რადგანაც ამით მოისობა
ის მიზეზი, რა მიზეზითაც დღეს გლეხი ძალა
უნებურად ბეგარასა უწევს. ზოგი მებატონეა და,
ჩვენდა სანუგემოდ, მოძეტებული ნაწილიც, რომ
მამულის გაპსევდოვა უნდა და მარტო იმისთვის არ
აცხადებს სურვილს, რომ ემინიან დავიწეობ საქმესო,
ტეულ-უბრალოდ გავებმიო, თრევას და ხარჯს ვეღარ
გავუგალო და ბოლო კი არ მოედებათ. ორს პირველს
მიზეზს გაიღის მოჟარის ის, რომ, ზემოხსენებულის
172 მუხლის ძალით, აწინდეგელი წილადობილი

გლეხის გარდასახადი უოველებან მალე გადიკვეთს და განისაზღვროს ადგილობრივის ჩვეულების მიხედვითა, — და მესამეს კი ის, რომ ერთობ უსაბუთოდ რთული და დატბოლოებული წარმოება ძალულის დასხნის თაობაზე გამარტივდეს და სწრაფად აღსრულებაში მოდიოდეს.

ამ უკანასკნელის მიზანის მოსახლეობლად ამ ახლო ხანებში ჩეცნის მთავრობის წინაშე წარდგენილა ახალი წინადაღება. ამ წინადაღების ქვა-კუთხედი და დედა-აზრი იგია, რომ მთავრობამ ნაემევთა: მატულების დასხისათვის იმისთვის რამ ადგილობრივ გამართოს ოთვორც საადგილ-მამულო ბანკია, საიდამაც გლეხთა მამულის დასხისათვის ფულის სესხად აღება შეეძლოთ იმავე წესით და პირობით, ოთვორც ჩეკ ეოგელი საადლი-მამულო ბანკშია მიღებული. ეს ქვენიერებაზე ახალი ამბავი არ არის, მაგ გვარი წეობილება ევროპაში, სახელდობრ გერმანიაში დიდი ხანია შემთვეული იერ ნაემევთა მამულების დასხისათვის და იქ, საცა იერ შემთვეული, ამ გვარმა წეობილებამ შეტად ააჩქარა ბატონ-უმბის საქმის დაბოლოვება საერთო საერთო საერთო დანიაში 1806 წ. დაწესდა მაგ გვარი ბანკი, ჰესენ-გასტელში 1832, ჰანოვერში 1841 წ. ნასაუში 1849 და სხვა. ოთვანაც ჰანოვერის ბანკს მოქმედობას შეტად უქებდნენ, ამის გამო. მის აგებულებაზე და განწყობილებაზე ზოგიერთს უმთავრესს ცნობას მოვიკანთ. ჯერ კიდევ 1830 წლიდამ, ჰანოვერში გამოთქმულ იქმნა ის აზრი, რომ ნაემევთა სრულიად განთავისუფლებისათვის ბანკი რამ გაიმართოს მთავრობის დაწმარებითა. ნემენცთა, ჩვეულებისამებრ, ეგ აზრი სინჯეს, გაზომ-გამოზომეს, აიღეს დაიღეს და ბოლოს 1841 წ. აღსრულებაშიაც მოივანეს. ბანკი დააწესდა საგ ნათ მარტო გლეხთა მამულების გარდასახადის დასხია დაუნიშეს. მაგრამ თითქმის იმავე დროს მთავრობამ გამოაცხადა სურვილი და აღსრულებაშიაც მოივანა, რომ ეგ ბანკი მარტო გლეხთა მამულების გამოსხია არ მიჰვევს და თვისი მოქმედება განავრცოს, ესე ივი, სესხი ამლიოს კოველს უმრავს ქონებაზედაც ნაემევისა იქნება თუ სხვა პირისა. პირებს და მეორეს შემთხვევაშიაც გირაოდ მიიღებოდა უძრავი ქონება. მთავრობამ ნახევარ მილიონი ტალერი (91 1/4 კაბერგია) დაუნიშნა. რომ, თუ ვინიცობაა გაზირვებამ მოითხოვოს, ბანკმა ხელი გაიმართოს. ამ ფულიდამ ბანკს ნება ჰქონდა მოეთხოვნა სახელმწიფო ხაზინისაგან ერთ ხანად 100,000 ტალერი; ხაზინას სარგებლად უნდა ერთმია ათს თუმანზე და სამი მანეთი წელიწადში. ამას გარდა კოველივე ჰასუხის-გება ბანკის მოვალეობა წინაშე თვით მთავრობამ იკისრა. ჰანოვერის ბანკი შინაგანის საქმეთა მინისტრის გამცემით ჰესენმოებდა. თვითონ ბანკსა ჰმართავდა

(*) оѣօցյ доносеніе губернскаго по крестьянскимъ-дѣламъ присутствія отъ 15 Іюня 1876 г. № 471.

მთავრობისაგან დანიშნული სამი კაცი, რომელიც ბანების მართველობის შეადგენდნენ. მსესხებელთ შორის ურთი-ერთის თავდებობა მიღებულ არ იქნ. ამ ბანები შესახიშნავი თრი რამ არის: ერთი ის, რომ სესხის მოსამართებლად ერთი გადა კი არ იქნ დაწესებული, არამედ რამდენიმე, მსესხებელის ხებაზე იქნ მიგდებული ან ერთს ვადაზე დამდგარის, ან მეორეზედ. შეორე ისა, რომ რაკი ბანები მამული გირაოდ შევიდოდა, არა რაიმეს ქერძობითსა, მთავრობითსა ან სასამართლოს განკარგულებას არავითარი მალა არ ჰქონდა იმ მამულის თაობაზე, თუ რომ იმ განკარგულებას ბანებისათვის რაიმე ზარალი და ვნება მოსდევდა. 1841 წლიდამ 1850 წლამდე, ესე იგი, ათის წლის განმავლობაში ამ ბანება შვიდ მილიონზედ მეტის ფასის (7,249, 779 ტალერი) მამულები დაასხნევინა ნაუმევებსა.

ჩვენი შირდაპირი საგანი, რომელსაც ცოტად თუ ბევრად ამ წერილების სათაური აცხადებს, სულ სხვა არის, ამიტომაც ზემოხსენებულს წინადადებას ამ ქამად ჯეროვანად და ვრცლად ვერ გამოვიძიებთ.

ბატონ-ემთბის გაუქმებას ჩვენში ზედ მოჰევა სასოფლო მმართველობის ახალი წესდებულებანა. ამაზედ ლაპარაკი შემდგე გვმქნება.

მოკლე მოთხოვბა სხვა და სხვა სახელ- მწიფოთათვის

აპსტრი-ვენტრია. *) წარსულს წერილში მოხსენებულთა ავსტრი-ვენგრიის მცხოვრებთა რიცხვის სქემიდან ჰსხანს, რომ იმპერია ერთ გვარ-ტომითის სალხით არ არის შემდგარი. იგი წარმოადგეს იმისთანა გაფშირს, საცავითვეულს სალხს თავისისაკაუთარი ენაძეს, საკუთარი ისტორია, საქაუთარი მწიგნობრობა, ხასიათი, ჩვეულება, მიღრეკილება და უოფა-ცნოვრება. ესე ერველი ერთად სალხის განსაკუთრებულს სახეს, ანუ უკეთ ვაჭრობათ, თვისებას შეადგენს. ეგ თვისება, ეგ საკუთარი სახე მეტად მეირფასი რამ არის ერველის სალხისათვის, იმიტომ რომ იგია მთამომავლობითი შემცირებულა ერველ იმისა, რისთვისაც უდევრია, უბრძოლია მამასა და შაბაზა. თუ ამ მხრით იგი მამა-შაბათა აკლდამაა, საცა მარხია ერველი საუნჯე და დიდება შვილისა, მეორეს მხრით იგი ნერგია, რომელზედაც უნდა აღმოცენდეს და აუვავდეს შვილის ბედნიერება. ამის შემდეგ საკუირველი არ არის რომ როცა ერთის ტომის სალხი მეორე ტომის სალხს ისტორიის გზაზედ შეხვდება, მლიერი მაშინვე ამ საუნჯისაგენ გაიწვდის

მმლავრს ხელს, რადგანაც იცის რომ ჩამორთმება მაგისი ერველის ღონის ჩამორთმება, და უძლური კი მაშინვე მთელის თავისის ღონით, თავ-გამოდებით მაგ საუნჯეს ზედ-გადეფარება ხოლმე, როგორც რკინის ფარი, რადგანაც მას მაგაზე მმიმე და მცირებასი დასაკარგავი არ აქვს რა.

ავსტრიის იმპერიაში სულერედ ესე მოხდა. ავსტრიის მთავრობამ, რომელიც ნემენცის შთამავლობისაა, განიხრახა თვისი სხვა და სხვა ტომის სალხი გაენემენებინა და მით წაეშალა განსაკუთრებული თვისება თვითვეულის სალხისა. ამისათვის მან გამოდევნა ვენგრიისა და სალავიანების სასამართლოებიდამ, სამმართველოებიდამ და სახულებებიდამ გენეგრითა და სლავიანთა სამმობლო ენა და ნემეცური ენა შემოიღო, მოსპოტ ერველი მათი თვითმოქმედება და თვითმმართველობა, ჰსდევნიდა მათს თავისუფლებას, მწერლობას, ერთის სიტევით-ერველს მას რითაც სალხი თავის-თავს სალხათ აღიარებს. მაგრამ ამ გვარი წინადაუნედავი და ულმობელობით აღსავსე საქციელი მვირად დაუკადა ავსტრიასა. მან ამით გადიმტერა თავისი ქვეშეგრძომი სალხი ტუშილუბრალოდ, იმიტომ რომ თავის განხრახულს საქმეს მაგით ვერ მისწვდია და მტრობა კი მტრობათ დარჩა. ეს გადამტერება, შემოტერომა დევნილის სალხისა სალხის გულის-აერა — სხვათაშორის შეიქმნა მიზეზად, რომ ავსტრია 1860 წ. დაამარცხა იტალიაშ და 1866 წ. პრუსიამ კიდევ ასეთი საქმე დაპართოა, რომ ავსტრიამ თითქმის ორ კვირასაც ვერ გაუძლო პრუსიის ჯარსა და დამარცხებულმა პრუსიის წინაშე თავი მოიხარა. ამ მაგალითების შემდეგ თვითონ ავსტრიაც მიხვდა, რომ იმპერიას მმვიდობისა, სიმრთელისა და სიმაგრისათვის გულ-აერილი, შემოტერალი ქვეშეგრძომი სალხი საიმედო არ არის და ამიტომაც შეუდგა იმის ცდას, რომ სელახლად შეიორის, როგორმე სალხის გული მოიგოს. ბერის ცდისა და ტორტმანის შემდეგ 1867 წ. იმპერატორმა მიანიჭა იმპერიას ახალი მთავრობითი წესი, ესე იგი ახალი კონსტიტუცია, რომელიც დღესაც მოქმედებს. ამ წესის ძალით ვენგრიის იმისთანავე სახელმწიფო უფლებანი მიიღო, როგორც ავსტრიასა აქვს. ხოლო ზოგიერთმა სლავიანების ქვეუნებმა მარტო თავისი შინაურის საქმების თვით-მმართველობის, გამგებლობის უფლება შეიძინეს. ამ კონსტიტუციაშ სლავიანები არ დაგენაროვილა. ესენი ცდილობენ ეხლა იგივე უფლება შეიძინონ, როგორიც დღეს კონსტიტუციით აქვს ვენგრებსა.

ერთის სიტევით, ავსტრი-ვენგრიის იმპერია მალუნებურად დღეს იმ გვას ადგია, რომელმაც დღესა თუ ხვალე აუცილებლად ფედერაციამდე მაინც

უნდა მიივანოს, ესე იგი, იმისთანა სახელმწიფო წევბილებამდე რომლის მაღითაც თვითეულს ხალხს იმპერიის თავისის საკუთარის საქმეების გამგეობა და მმართვა მის ნებაზედ უმნება მინებებული, ხოლო საერთო სახელმწიფო საქმეთათვის უმნებათ საერთო სახელმწიფო მმართველობა, სულ კველასგან დადგენილი. ეს იქმნება თავისუფალთა ხალხთა კავშირ-ზაფობა როგორც ეხლა შვეიცარიასა და ამერიკაშია. ესეა, თუ არა, დღეს აკსტრიის საშიშარი ტკივილი ის არის, რომ ეოველი ტომის ხალხი თავისასა თხოულობს და ამას დაკმარდოლება უნდა. აკსტრიის ბედი და უბედობა, მისი ძალა, მისი გამძლეობა და არსებობა იმაზედ დამოკიდებულია თუ როგორ დაგებაუთვილებს იგი თვის ქვეშვერდომთა ხალხთა სამართლიანს თხოვნისა.

დღეს მთელის ევროპის წინაშე წამოექნებულია ფეხს აღმოსავლეთის როგორი საქმე და ეს საქმე უმთავრესად სლავიანებზე ტრიალებს. რადგანაც აკსტრიაში იმოდენა სლავიანები არიან, მკითხველი ადგილად მიხვდება ის საჭიროებას, რომელიც აკსტრიას ძალას ატანს მსურვალე მონაწილეობა მიიღოს აღმოსავლეთის საქმის გადაწვეტაში.

—

გერმანია. — ძალიან შესანიშნავი რამ არის ეს გერმანიის იმპერია. მისი კონსტიტუცია, ესე იგი, მისი მთავრობითი განწყობილება, მისი შინაგანი მმართებლობითი აგებულება ისეთ ნაირად არა ჰგავს სხვა სახელმწიფოთა განწყობილებას და აგებულებას, რომ საჭიროდ მიგვაჩნია ამ კონსტიტუციაზედ ცოტაოდნად დაწერილებული მოთხოვობა. *) გერმანია შესდგება 25 სახელმწიფოთაგან: პრუსია, ბავარია, საქსონია, ვირტუემბერგი, ბადენი, ჰესენი, მექლენბურგ-შვერინი, მექლემბურგ-კრელიცი, საქსენ-ვეიმარი, საქსენ-მეინინგენი, საქსენ-ალტენბურგი, საქსენ-გობურ-გოტა, ბარუნშვეიდი, ოლდენბურგი, ანგალტი, შვარცბურ-რუდოლ-შტატი, გალდეკი, რეისისიუმფროსი, რეისის-უმცროსი, ლინც, ლინც-შაუმბურგი, თავისუფალი ქალაქები ლიუბეგი, ბრემენი და ჰამბურგი. ამას უნდა მიუმატოთ ელჩის-ლოტარინგია, რომელიც გერმანიაში წაართვა საფრანგეთს უკანასკნელის ომის შემდეგ. ის კი უნდა შევნიშნოთ, რომ ელჩის-ლოტარინგიას არა აქვს თავისი საკუთარი კონსტიტუცია და ამიტომ ჩეგნ არ ჩავთვალეთ იმ სახელმწიფოთა შორის, რომელთაც ურთიერთის მოზაფობით დაარსეს ეხლანდელი იმპერია. გარდა ამისა ეხლანდელი გერმანიის კონსტიტუცია შედგენილი იქო, როდესაც

გერმანიაში ჩაიგდო ხელში ელჩის-ლოტარინგია.

წინაპირებულად უნდა მოგიხსნიოთ, რომ ეოველი ზემოხსენებული სახელმწიფო არის, ერთის მხრით, თავისუფალი, სრულიად დამოუკიდებელი ქვეპანა, რომელსაც აქვს თავისი მმართებლობა, საკუთარი შინაგანი განწყობილება; მეორის მხრით—არის წევრი-მოზაფე იმ განწყობებულის ზავისა, რომელსაც უწოდებენ გერმანიის იმპერიას და რომელსაც, თავის მხრით, აქვს საკუთარი საგანი და დანიშნულება. ერთის სიტევით, კველა ამ სახელმწიფოებმა ერთმანეთის მოზაობა დადგინდეს მასზედ, რომ საერთო, საევალეთო საქმე საერთოდ განვაგოთო და სხვაფრივ კი თავისუფალნი ვიქმნეთო. ჩვენ ამ ქამარ განვიხილავთ მხოლოდ მას, რაც გერმანიას საერთოდ შეეხება.

გერმანიის ზავსა მინიჭებული აქვს უმაღლესი მმართველობითი უფლება, რომლის წარმოება ეპუთვნის პრუსიის კოროლის, გერმანიის იმპერატორით სახელმწიფებულს, და მოზავეთა საბჭოს რომელიც შესდგება გერმანიის თვითუფლის სახელმწიფოების წარმომადგენელთაგან. წარმომადგენელთაგან. კანონთ-მდგებელი უფლება მაუთვნის როგორც მოზავეთა საბჭოს, აგრეთვე გერმანიის ხალხის წარმომადგენელთა პრეზის, რომელსაც უწოდებენ რეის ტანა.

იმპერია საერთოდ განაგებს მხოლოდ იმ საქმეებს, რომელიც შეეხბიან ლაქტობას, იმპერიის ფინანსებს, აღებ-მიცემობას, ფორტას, ტელეგრაფს, რკინის გზებს, მწიგნობრობას და სხვ. რაც ამ საგნებს არ შეეხბა, კველაფერი მინდობილი აქვს თვითოუფლება სახელმწიფოს ცალკედ, ისე რომ უოველი მათგანი როგორც პრუსის, ისე განაგებს. მოზავეთა საბჭო არის შემდგარი, ზავის წევრთა (მათის მთავრობის) წარმომადგენელთაგან. მაგრამ ამ წევრთა თანასწორი მონაწილეობა არა აქვთ საბჭომა: პრუსიას ეკუთვნის 17 კენჭი, ბავარიას 6, საქსონიას 4, ვირტემბურგს 4, ბადენსა და ჰესენის საბაზი კენჭი, მექლემბურგ-შვერინს 2, და დანარჩენ სახელმწიფოებს თვითო თვითო კენჭი. ერველ სახელმწიფოს აქვს უფლება გავზავნოს მოზავეთა საბჭომი იმდენი წარმომადგენელი, რამდენიც კენჭი აქვს მინიჭებული, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ერთ და იმავე საგანზედ კენჭი უნდა შეართოს ისე, ვითომც ერთი წარმომადგენელი ეოფილა. რასაკვირველია, ეს ასე უნდა მოხდეს, რადგანაც ერველი წარმომადგენელი წინადევ დარიგებულია თავის მთავრობის მიერ, როგორ უნდა მოიქცეს მოზავეთა საბჭომი, კენჭი გის და რას უნდა მიჰსცეს. ამ საბჭოს პრეზიდენტი არის იმპერიის კანცლერი *), რომელსაც ნიშნავს იმპერატორი. როდესაც

*) ამ ქამარ ბასაზე.

(*) განკარის სიკრე შეატენ 9,818 თხ.კ. მდოს, ჰოვლის სკორომის 24,752,554 სულ. მათ შოთის 37,820,000 ნემცია, 2,600,000-მდი სულა, დასაჩენა კი სხვა ტომისა ხალხა.

კანცლერს ოომელიმე მიზეზის გამო, უკან შეუძლიან მიიღოს მონაწილეობა აშსაბჭოში, მის პრეზიდენტად, იგი, თავის ნაცვლად, ვისაც უნდა, იმის ნიშნავს. ამითი არა თავდება ამ საბჭოს უცნაური ხასიათი. უკანელ საბჭოში, უკანელ საზოგადო ერილობაში შემოღებულია, ოომ თუ ვინიცობაა დაღებულს რიცხვზე ნაკლები წევრი შეიქარა, საზოგადოება უკან საქმეს ვერ განაცემს და მის განაჩენს კანონიერი მაღალა არ უქმნება. გერმანიის მოზავეთა საბჭოში კი სრულებით სხვა ფრივ არის დაწესებული. ერთი წევრიც რო მოვიდეს, მაინც მის განაჩენს კანონიერი მაღალა ეძლევა, ამ შემთხვევაში, ეს ერთი წევრი უთურდ შრეზიდენტი უნდა იყოს, რადგანც უამისოდ კრება უპასონოდ ჩაითვლება. ერთის სიტევით საბჭოში ბურთი და მოედანი შრუსიისაა. მოზავეთა საბჭოს შეერის უფლება ეკუთვნის მხოლოდ იმპერატორს. ეს საბჭო და რეიხსტადი შეიქრებიან უკანელ წლივ. მოზავეთა საბჭო შეიძლება შეერიდ იქმნას ურეისტადოთაცა, მაგრამ რეიხსტადის შეერა კი შეუძლებელია უიმისოთ, რომ იმავე დროს საბჭო არ იყოს შეერილი.

მოზავეთა საბჭოში ბჭობა საიდუმლოა, ე. ი. უცხო კაცი ვერ დაესწრობა და თვით საბჭოს შროტოკოლიც უკან გამოცხადდება არც ბეჭვდით და არც სხვა გვარ.

რეიისტრაციის არის მთელი გერმანიის ხალხის წარმომადგენელთა კრება. ეს წარმომადგენელი აღმოირჩევიან საუკეთესო პენტის ერთი. მთელი გერმანია განიერება რამდენიმე არჩევანის მაზრად; 100,000 მწხოვერებ სულ 15 დანიშნულია ერთი დეპუტატი, პატარა გერმანიის სახელმწიფოს, თუნდა მისი ხალხის რიცხვი 100,000-ზე ნაკლები იყოს, მაინც შეუძლიან იუთლიოს ერთი დეპუტატი. ამ ქამად რეიისტადში 397 დეპუტატია. მათ შორის:

შრუსიას ეკუთვნის	235
ბაგარიას	48
საქსონიას	17
ელჩისლოტრარინგიას	15
ბადენს	14
ჰესენს	9
მექლემბურგ-შვერინს	6
საქსენ-გვიმარს	3
ოლდენბურგს	3
ბრაუნშვაიგს	3
ღამბურგს	3
საქსენ-მეინინგეს	2
საქსენ-კობურგ-გოთას	2
ანგალტს	2

დანარჩენ თორმეტი სახელმწიფოთაგან თითო დეპუტატია. უკანელ გერმანიელს, ოომელიც კი 25 წლისა შესრულდება, აქვს არჩევანის უფლება. ამ უფლებას რასაცირკელია, აქვს იგივე საზღვარი, როგორც სხვა კონსტიტუციებშია მოუგანილი. ამს უნდა დავუმატოთ ერთი შესანიშნავი გარემოება: რეიისტადის დეპუტატებს ჯამაგირი არა აქვთ დანიშნული. ამის გამო ღარიბის ხალხისათვის არჩევანით წარმომადგენელობა სრულებით ფუჭია, რადგანაც ღარიბითარი შეძლება არა აქვთ გაგზავნონ რეიისტადში თავისი მომშე ღარიბი გაცი თავისის კეთილმდგომარეობის დასაცველად. რეიისტადის კრებაში უკლას შეუძლიან დაეცეროს. კანონთ-მდგებელი თაოსნობა ეკუთვნის როგორც მოზავეთა საბჭოს, აგრეთვე რეიისტადს.

ახლა გადავავლოთ თვალი იმპერატორის (ოომელიც შრუსიის კოროლია) უფლების თვისებას. რადგანაც გერმანიის იმპერია შედგენილია სხვა და სხვა სახელმწიფოთაგან, რომლებსაც თავისი მმართებლობითი უფლება უპერიათ, ამიტომ გერმანიის იმპერატორს არა აქვს ის უფლება, რომელიც ეკუთვნის ფალგე სახელმწიფოს მეუფებასა. ნამდგილი წარმომადგენელი გერმანიისა არის მოზავეთა საბჭო, ე. ი., სხვა და სხვა გერმანიის სახელმწიფოთა წარმომადგენელთა კრება. მთავრობითი უფლება ეკუთვნის როგორც ამ კრებას, აგრეთვე იმპერატორსაც. იმპერატორს, მაგალითებრ, არა აქვს უფლება უარ-ჰეოს იგი კანონი, რომელიც დაწესა რეიისტადმა და მოზავეთა საბჭომ. ისიც უნდა ვთქვათ, რომ თუმცა კანონით ეს ასეა, თუმცა კანონის მაღაით იმპერატორის უფლება განსაზღვრულია, მაგრამ ნამდვილად კი იმპერატორს რაც უნდა, იმასა იქმს, რადგანაც არც მოზავეთა საბჭოს, არც რეიისტადს არა ვითარი ღონისძიება არა აქვთ, კონსტიტუციით მინიჭებული, ძალა დაატანონ იმპერატორს უსათუოდ დამტკიცოს და მოქმედებაში მოივანოს მათ მიერ დაწესებული კანონი. იმპერატორს უკანელობის შეუძლიან თქვას, რომ იგი კანონი კონსტიტუციის წინააღმდეგიათ, და ამის გამო იგი კანონი უქმად დარჩეს და არ გამოცხადდეს. აღმასრულებელს უფლებას ჰქანებ მარტო ერთი პირი, კანცლერი, რომელიც შასუნის მგებელია რეიისტადისა და მოზავეთა საბჭოს წინაშე. მთელი გერმანიის ლაშქარ მთავარი არის იმპერატორი, რომელსაც ხელო უპერია გერმანიის სამხედრო მაღალა. ამით შრუსიას ეძლევა უპირატესი მნიშვნელობა მთელს იმპერიაში.

მაინც მთელი გერმანიის კონსტიტუცია ისეთ ნაირად არის შედგენილი, თითქო მარტო შრუსიისათვის იყოს დანიშნულიო. მეტადრ გერმანიის კანცლერს (ამ ქამად ბისმარკს)

აუარებელი უფლება აქვს მინიჭებული. ერთი ფრანგიელი მწერალი შერბული, ამბობს, რომ გერმანიის კონსტიტუცია ერთის გაცის მიერ და ერთი კაცისათვის არის დადგენილი. მართალიც არის.

რადგანაც უფლება მთავრობის მოქმედებაში შასუხის გამცემი რეინსტადისა და მოზავეთ საბჭოს წინაშე მხოლოდ განცლერია, მაშასადამე მასზედ არის დამეარებული მთელი იმპერიის გამგება. უფლება განკარგულებას იმპერატორისას მხოლოდ მაშინ აქვს მაღა, როდესაც განცლების უწერია მასზედ ხელი. მაშასადამე, კანცლერი ვითომც სახლვარს უდებს იმპერატორის უფლებასა.

გერმანიის დიდება დამყარებულია სამხედრო მაღაზე. სამხედრო სამსახური ეველასათვის აუცილებელია. სამსახურის ვადა 12 წელიწადია: 3 წელიწადი მომქმედ დაშქარში, 4 წელიწადი რეზერვში და 5 წელიწადი ლანდგერში. გინც ლანდგერში ითვლება მშვიდობიანობის დროს დროებით დათხოვნილ არიან სამსახურიდგან, და ხუთის წლის განმავლობაში მხოლოდ ორჯედ გამოიწვევიან სამხედრო წესისა და რიგის შესასწავლებლად. უფლები გაცი, რომელიც კი არ ითვლება არც ერთი ამ დაშქარის განეფილებაში, ირიცხება ლანდგერში, რომელიც მხოლოდ მაშინ გამოდის ლაშქრათ, როდესაც სახელმწიფომი მტერი შემოვა. მშვიდობიანობის დროს გერმანიის ჯარის რიცხვი ადის 418,670-მდე, ომიანობის დროს კი 1,315,634 გაცი შეუძლიან გერმანიას გამოიყვანოს. გერმანიის შემოსავალ გასავალი 150 მილიონადაა. გერმანიაში არის ოცი (20) უნივერსიტეტი, სადაც სწავლობს ოთხმეტ ათასამდე (14,000) სტუდენტი. არის სამას თვრამეტი (318) გიმნაზია. სამუადო სასწავლებლებში მოსწავლეთა რიცხვი ას თომოცი ათასი (180,000). სამცი ათასი (60,000) სახალხო სასწავლებელია; მათში მოსწავლეთა რიცხვი ქვესი მილიონია (6,000,000); ათას რვაას ოცდა თვრამეტი (1,838) სამოლიტიკო გაზეთი იბჟვება და ათას ქვესას რვა (1,608) სხვა და სხვა დრო-გამოშვებითი შურნადი.

ქალაქის სცენები

ერთის დღის აღწერისა 1876 წ.

III. *)

(ქუჩის გარებში შუალის დედაგაცი ზის, წინდასა ქსოვს.)

— ნება მიბოძეთ თქვენს სახლში შესვლისა.

*) № 2 „ივერიას“ 1877 წ.

— ვიღაც ოხერი ხარ, ჩემს სახლში რა ხელი გაქვს? წადი, გაეთრიე შენ გზაზედ!

— მთავრობის ბძანებით ყველა სახლები და ოჯახები უნდა აგწეროთ. მე ამწერი გახლავარ.

— წადი, წადი შენ გზაზედა მეთქი, კარის ღრუბლსაც ვერა ნახამ.

— არ შეიძლება, ბატონო; წინააღმდეგობას ნუ ინებებთ, უეჭველათ უნდა დაგწეროთ.

— დაწერ-მაწერისა არა ვიცი რა! გასწი შენ შენს გზაზედა მეთქი, თორემ ასე კი ნუ მიყურებ, დედაკაციაო, შენისთანა პანკვლიანებისთვის შავი დღე დამიყენებია.

— ბატონო, გნებავთ პოლიცია დავიბარო და ისე აგწეროთ?

— პოლიცია მოვიყვანოვო! ოპ, ოპ, ოპ, ყურებზე ხახვი არ დამაჭრა შენის პოლიციითა. შენ ვინ ოხერი ხარ, რომ პოლიციით მოღიხარ? ორმოცდა-ათი წლის დედაკაცი ვარ, ჩემ კარზე არავინ არ მამდგარა. ახლა შენ მომდგომიხარ თარხან კაცს და მემუქრები კიდეცა? შენ ვინა ბძანდები ჰა? სამი გასათხოვარი ქალი შინ მიზის, სახლში მივარდები? დაიკარგე აქედამ, თორემ მთელ ქუჩას თავს დაგახვევ და ერთ ბეაბრუობას გაჭმევ.

— ტყვილათა ლაპარაკობთ. ათასიც რომ უარი სთქვათ, უეჭველათ უნდა დაგწეროთ.

— თქვენ უფლება ვინ მოგცათ, თარხან კაცს კარზე მოადგეთ?

— გინდა თარხანი იყვეთ, გინდ არა. რაც უნდა დიდი ჩინის პატრონი იყვეს, ბძანებაა ყველანი უნდა აგწეროთ.

— ახა ღმერთო ჩემო! მაშ თქვენ არ იცით თარხანი რა არის?

— ჩემთვის საჭიროც არ არის.

— მე გაჩვენებთ, თუ საჭიროარ არის, გასათხოვარი ქალები შინ მიზის, სახლში მივარდები თარხან კაცსა და იძახი თარხანი ფეხებზე მკიდიაო? (უძახის ქალს) გოგო, სითარხნის წიგნი მაიტანე. (ამწერს) ის შეგატყობინებ რაცა ვარ და თარხანი რაც არის. აბა წაიკითხე! მაგრამ ხელი იქით, მე დავიჭრ და შენ წაიკითხე, ხელი არ ახლო, თორემ მე ტაცია კაცების წამალი ვიცი.

— ტყუილი არ არის კითხვა საჭიროც არ არის.

— არა, ერთი წაიკითხე მაგ ბრეცია თვალებით

და მერე მელაპარაკე.

— აპა ღმერთო ჩემო! მოიტა, მოიტა წავიკითხო: „ქ. წყალობითა ღვთისათა ჩვენ ღვთივ აღმატებულმან და ღვთივ დამყარებულმან. ღვთიე ცხებით გვირგვინსანმან იესიან. დავითიან, სოლომონიანმან, ბაგრატიონმან, საქართველოს ტახტისა და საპატრიონის მტკოცეთბლობით მპყრობელმან და მქონებელმან ყაზახისა და ბორჩალუს მჭირავმან მეფეთ მეფემ...

— მეფეთ მეფემაო, გესმის?

— მოითმინეთ და წამაკითხეთ. — „თვით კელმწიფემ პატრიონმან თეიმურაზ და თანა მეცხედრემან ჩვენმან დედოფალთა დედოფალმა ანახანუმ, პირმშომან და სასურველმა ძის ძემან და უფლის წულმან ბატონისშვილმა ვახტანგ ესე უკუნისამდე ხანთა და უამთა გამოსადეგი...

— დაკვირდი, როგორა სწერია! უკუნისამდე ხანთა გამოსადეგი.

— „ხანთა და უამთა გამოსადეგი წყალობის და სითარხნის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ჩვენსა დიდათ ერთგულსა და მრავალ გვარათ ჩვენთვის თავდადებით ნაშახურს მოქალაქეს ყმასა ჩვენსა კენკაანთ გიორგის შვილის იოანეს და შვილსა შენსა გიორგის, ფირუზას და პარემუზას შვილთა და მამავალთა სახლისა შენისათა...

— გაიგონე კარგა, მამავალთა შვილისშვილთაო. აი თუ ჩაწერა გინდა, ეს ჩაწერე. კენკაათ რძალი ვარ და სამი ქალიცა მყავს (ამწერი სწერს) აი აგრე.

— „ასე რომე, ამას წინათ რომელსაც ქურქიბაში ჩვენის პაპისა და მამისთვის უმსახურებია, ყოველის კემწიფეისაგან თარხანი ყოფილანდა ჩვენც მოვიკითხეთ და როგორადაც ძველადგან კელმწიფების დროში ქურქი თარხანი ყოფილიყოს, იმ რიგათ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, ასე გათარხნეთ და განგანთავისუფლეთ; არაფერი საჩვენო გამოსაღები არა გეთხოებოდესრა.

— ხედამ, „არა“ როგორა სწერია? წინა და უკან ორ-ორი წინწკლები უზის, მითომ არაფრისათანა, არა გეთხოებოდეს.

— „არა გეთხოებოდეს რა. ესე წყალობა გიყავით და გათავისუფლეთ. ერთის იოტის დანაფასევი არაფერი სათხოვარი და გამო-

საღები არა გეთხოოსრა: არა მალი, არა ხარჯი, არა სატარულო, არა ღუქნის ხარჯი, არა ტიკი და ტომარა, არცა შენს სახლში მდგმური დაღგეს, არცა სხვა ხარჯი და საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები ცოტათ თუ ბევრამდინ, ასე რომე ერთის მზისა და წვიმის მეტი თქვენს კარზე არაფერი არა მოღგეს რა...

— დაუდგეს ყური ვისაც არ ესმის! გაიგე, ჩემო მოთრეულობატონო? ერთის მზისა და მთვარის მეტი თქვენს კარზე არაფერი არა მოღგეს რაო. შენ მობძანებულხარ და სახლში მივარდები! მაგრამ ჯერ გაათავე!

— ბატონო დამაცა თუ მაკითხებ... „არაფერი არა მოღგეს რა, არაოდენს არ მოგეშალოს წყალობა და სითარხნე ესე არა ჩვენგან და არა შემდგომთა მეფეთა და მეპატრიონეთაგან...

— აკი მობძანებულა ეს ბატონი და შლის! აი მეხი კი დაგაყარე! წაიკითხე, წაიკითხე!

— „ და მეპატრიონეთაგან. გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვექილა ვეზირნო და მწიგნობარნო...“

— მწიგნობარიც თქვენა ბძანდებით და ყურიდამ ბამბა ამოიღე, რო კარგა შეიტყო.

— „ და მწიგნობარნო და ქალაქის მოურაო, მელიქო, მამასახლისო და ნაცვალო, სხვანო მოსაქმენო წყალობა და ფარმანი ესე თქვენც ასრევ დაუმტკიცეთ და ნურგინ მოუშლით...“

— მოშალე რაღა! აბა მოშალე?

— „ და ნურგინ მოუშლით შეწევნისა და თანამდგომობისაგან კიდე...“

— აი გესმის? შეწევნა უნდა მამცე მე ქვრივ ოხერსა, და შენ პირიქით გასათხოვარ ქალებთან შინ მივარდები?! წაიკითხე, წაიკითხე.

— „ თანამდგომობისგან კიდე. დაიწერა ხელითა კარისა ჩვენისა მდივან მწიგნობრის თუმანიშვილის ედიშერისითა, იანვრის კი გასულს: ქს ულჲ.

— არა, ჯერ არ გათავებულა. აბა გვერდებზე წაიკითხე! მეფე ერეკლეს დამტკიცებულიც არის და დარეჯან დედოფლისაცა.

— კმარა დედი. მეც მოთმინებიდამ გამომიყვანე მაგდენი ლაპარაკითა! ახლა როლაპარაკობ, ჯერ ერთი ესა, რომ მაგ ქალალდს ძალა აღარა აქვს.

— მაშ შენ დაწერილსა აქვს ძალა რაღა? აი გამიოხრდეს შენი ნაწერი ქალალდიცა!

— ღმერთო ჩემო! ბატონო, რაზე მალაპარაკებ

და ან თავს იტკივებთ? ვთქვათ ძალა აქვს; ამას არა მკითხამო, რათა და რისთვისა გწერთ?

— არცა გკითხავ და არც საჭიროა. ამ ქალალდში სწერია ღვთივ გვირგვინოსან მეფების სიტყვა, რომ შენს კარჩე მზისა და მთვარის მეტი არაფრისთანა არა მოდგეს რაო. შენ მობძანებულხარ სახლში მივარდები და იძახი, უნდა ჩაგწეროვო. ამას დაგითმობ?

— ხარჯის გაწერა ხომ არ არის, რომ ხარჯი გამოგერთვას ამ აწერითა? მთავრობას მარტო საცოდნელათ უნდა.

— გინდ ხარჯის გაწერა იყოს, გინდ არა; ჩემთვის სულ ერთია. ხარჯში ჩასაგდები არავინ არა მყავს. ერთი დედა ვარ, სამი გასათხოვარი ქალი მყავს. ნემსის წვერით თავს ვირჩენთ. ვის შეუძლია, დედაკაცს ხარჯი გამოართოს?

— რამდენი წლისანი იქნებიან თქვენი ქალები?

— დახე, დახე ამ ურცხვსა! ქალების წლოვანობასაცა მკითხავს, შენ რაში გეკითხება? რამდენი წლისანიც უნდა იყვნენ, დედაკაცს ხარჯი არ გამოერთმევა. კანონები ჩვენც ვიცით. გასწი გაიარე მეთქი. გაგიგონიათ, გეთაყვა, ეს რა გადამეკიდა თქვენი ჭირიმე! შენი მეშინიან თუ. ნელა ხარჯი არ გამოგვართვა. უფროსი ქალი ოცოდა ორი წლისაა და მეორები ამის მომდევნონი არიან. წადი, როცა ჩვენგან ხარჯი მოკრიფო, დაიკვეხე.

— ერთი არ იქნება სახლი ვნახო? კედლებს ხომ არ შევჭამ.

— კიდევ არ იშლის გეთაყვა. რას ჩამაცივდა. საჭმელი იყოს ერთ ოთახში არ მოვიკუნტები, მდგმურებს დავიყენებდი.

— თქვენი სახელი რა არის?

— გაგიწყდა სახსენებელი! თავს აღარ მანებებს ეს წყეულ-შეჩერენებული! თავიდამ მამშორდი, თორემ მე ეურქიანთ ელენეს მეძახიან და მე შენი ოხტიდან მოვალ.

— გავათავე ბატონო, მივდივარ.

— წადი, წადი აგრე. საიდამაც მოთხეულხარ, იქავ წაბძანდი! ხომ გაიგე ახლა, თარხანი რა არის? ბევრი რამ წაიღე, არა?

ანჩისხატისუბნელი.

(შესრულებული)

შენიშვნა.

ჩვენის განხეთის მეორე ნომერში, შეხუთე გვერდზედ მეთერთმეტე და მეთორმეტე სტრიქონი ქვევიდგან ასე უნდა წაიკითხოთ: აგრეთვე შევიტევთ, რომ კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელის საზოგადოების სასწავლებელთათვის ახლად დანიშნული ინსტიტორი

ისეიდება:

ქალაქს, ვართანოვის და გრიჭუროვის წიგნის მაღაზიებსა და „ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გორს, ფარნაოზ ნათიევისას.

ახალციხეს, ალექსეევ-მესხიევისას (მიროვოპოსრედნიკი)

ლექსი თქმულნი თ. 6. ბარათაშვილისაგან

ფასი 20კ.

7. 6. ანტონოვის თხუზულებან, ფასი 1 გ.

შართული ანდაზები, ფასი 40კ.

მეფე ლირი, ტრაგედია შემსპირისა ფასი 60კ.

Дозволено цензюрою. Тифлис, 16 марта 1877 г. Тиография Е. Хеладзе. ჟედჭტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „ივერიის“ ხელახლი (განმეორებითი) გამოცემის პროექტისა და იდეის ავტორი, რედაქტორ-გამომცემელი ნუგზარ ჭიათურაშვილი

სარედაქტო ჯგუფი: ნედი დარბაძე, ნინო კერატიშვილი, ნინო შავაძე, ნინო გლუნჩაძე, დალი გოჩიტაშვილი, თამუნა დვალი, მერაბ დვალი, აკაკი იობაშვილი, მხატვარი, ბუბა არაბული, დიზაინერი დაშა ჩხერიელი

მერიები: ივერია – ნანულები ლაპარაკება – მომავლის მაღასარენება

პროექტი: მხარდაჭერი სახარდაჭერო მარატაშვილის ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი „ივერია“ აღზენილია, – ხელახლი გამოვიდა დაწყდან 2011 წლის 2 აგვისტოს

სამოსუმალი გას „სამართლებრივ სახლი ქათისი ელიუ“ საიდენტიფიკაციო №404852174

მისამართი: გ. ლეონიძის 11ა; ტელ.: (+995 32) 299 76 53; chiaberashvili@gmail.com